



საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლო

ინფორმაცია საქართველოში
კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე

2018

სარჩევი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.....	7
1.1. განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებული აქტები.....	7
1.1.1. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა.....	7
1.1.2. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ	15
1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა	18
1.1.4. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.....	19
1.1.5. სუბსიდიურობა.....	21
1.2. გადაწყვეტილების დამძლველი ნორმები.....	22
1.2.1. პლენუმი.....	22
1.2.2. პირველი კოლეგია	23
1.3. გადაწყვეტილებები	25
1.3.1. პლენუმი.....	25
1.3.2. პირველი კოლეგია	28
1.3.3. მეორე კოლეგია.....	35
2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა აქტივობები.....	65
2.1. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაცია	65
2.1.1. ინფორმაცია ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის შესახებ	65
2.1.2. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის სამუშაო შეხვედრა	65
2.1.3. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის კონგრესი.....	66
2.2. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია.....	67
2.3. სასამართლოს თავმჯდომარის/წევრების 2018 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები:	67
2.4. დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.....	70
2.5. საზაფხულო სკოლა კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში	72
3. კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი	73
მიმართულებები	73
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა.....	77

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს, განსაზღვრავს ქვეყნის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებს, ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედების განმსაზღვრელ სამართლებრივ ჩარჩოს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფა და კონსტიტუციის უზენაესობის რეალური აღსრულება მნიშვნელოვნად განაპირობებს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის, ადამიანის ძირითადი უფლებების სრულყოფილად დაცვასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

კონსტიტუციით სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაუმართლებლად არ შეზღუდოს ადამიანის უფლებები და უზრუნველყოს მათი სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს უმთავრესი დანიშნულებაა კონსტიტუციის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქმიანობის უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის ფუნქციებს ძირითადად ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების გზით ასრულებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი კარგავს იურიდიულ ძალას შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის დებულებების განმარტებისა და გამოყენების გზით განსაზღვრავს ქვეყნის საკანონმდებლო სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საყოველთაო ხასიათი აქვს და მისი შედეგები შეიძლება გავრცელდეს საზოგადოების თითოეულ წევრზე. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების თითოეულ შტოს და საზოგადოებას მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის და მისი პრაქტიკის განვითარების შესახებ.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას. დოკუმენტი, მასში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება არა მხოლოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებისათვის, არამედ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის მსურველ პირებს, მასმედიის წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სტუდენტებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

წინამდებარე დოკუმენტი შედგება ოთხი თავისაგან. I თავი შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის პრაქტიკის მიმოხილვას. დოკუმენტის ამ ნაწილში დეტალურად არის განხილული კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნები და მათი არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები. I თავი აგრეთვე შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიების მიერ 2018 წელს მიღე-

ბული ყველა გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების დამძლევ ნორმებთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებების ანალიზს. წინამდებარე დოკუმენტის II თავი მოიცავს ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტის III თავი ეთმობა 2018 წელს ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებების ანალიზს. დაბოლოს, დოკუმენტის IV თავში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები 2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული სარჩელების, სასამართლოს მიერ განხილული საქმეების, მიღებული აქტებისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა საკითხების შესახებ.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

1.1. განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებული აქტები

საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ იგი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს, მაგ.: შემოტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ, დაუსაბუთებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს სადავო საკითხზე მსჯელობის კომპეტენცია, დარღვეულია სუბსიდიურობის მოთხოვნა და სხვა. განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე ხდება აღნიშნული მოთხოვნების დარღვევით წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა, რაც იცავს სასამართლოს უსაფუძვლო/დაუსაბუთებელი კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებებისაგან და ემსახურება ეფექტური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას. ამრიგად, მნიშვნელოვანია საზოგადოების, მათ შორის, პოტენციური მოსარჩელების ინფორმირება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლებთან დაკავშირებით, რათა მათთვის ცხადი და მარტივად იდენტიფიცირებადი იყოს ყველა ის გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლად ცნობა.

1.1.1. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობებიდან მნიშვნელოვანია, გამოიყოს სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმისაგან შედგება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს. მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში უნდა მოიყვანოს ის მტკიცებულებანი, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას. თითქმის ანალოგიურია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.¹ კონსტიტუციური სარჩელის დაუსაბუთებლობა შედეგად იწვევს მის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ სხვა მოთხოვნებთან ერთად დაკმაყოფილდეს ორი მოთხოვნა: ა) მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას და ბ) დასაბუთებული იყოს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა.

i) დასაბუთება შინაარსობრივად არ შეეხება სადავო ნორმას

კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ სწორად იყოს იდენტიფიცირებული სადავო ნორმის შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს და შეაფასოს ნორმატიული აქტების მხოლოდ რეალური შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსარჩელეთა მხრიდან სადავო ნორმების შინაარსის არასწორი აღქმა აქტუალური პრობლემაა. ქვემოთ განხილული იქნება

¹ წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

კონკრეტული კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული სწორედ ხსენებული საფუძვლით.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, რომლებიც, ერთი მხრივ, განმარტავდა, თუ რა იყო უხამსობა, ხოლო, მეორე მხრივ, დასაშვებად მიიჩნევდა სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებას, თუ ეს ეხებოდა უხამსობას.² მოსარჩელე განმარტავდა, რომ უხამსობად ითვლებოდა ნებისმიერი უცენზურო სიტყვა, იმის მიუხედავად, თუ რა ვითარებაში და კონტექსტში მოხდა მისი გამოყენება. მოსარჩელის პოზიციით, რიგ შემთხვევებში უცენზურო სიტყვას შესაძლოა, ჰქონოდა პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება. მას არაკონსტიტუციურად მიაჩნდა რეგულაცია, რომლის თანახმადაც, უცენზურო სიტყვების გამოყენებას ყველა შემთხვევაში მოჰყვებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმების რეგულირების სფეროა მხოლოდ კანონში გამოყენებული ტერმინის „უხამსობის“ შინაარსის განსაზღვრა და სადავო ნორმები არ ქმნის უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ საფუძველს. ამრიგად, მოსარჩელე მხარის მიერ მითითებული უფლების შემზღუდველი შინაარსი სადავო ნორმებს არ გააჩნდა, სახეზე იყო მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ნორმების მოწესრიგების საგნის არასწორი აღქმა. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნია დაუსაბუთებლად და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს დასაქმებული პირის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხს.³ მოსარჩელე განმარტავდა, რომ სადავო ნორმა მხოლოდ ქალებს ანიჭებს ხსენებული შვებულებით სარგებლობის უფლებას და მამაკაცები ამ უფლებით ვერ სარგებლობენ, რაც მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევას იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მითითებული შვებულებით მოსარგებლეა დასაქმებული. დასაქმებული პირი კი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე - მამაკაცი. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკაზე და მიუთითა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, მამაკაცს უფლება აქვს, ისარგებლოს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულებით. იმის გათვალისწინებით, რომ არც სადავო ნორმის ტექსტიდან და არც მისი გამოყენების პრაქტიკიდან არ იკვეთებოდა მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსით მისი გამოყენების შესაძლებლობა და მოსარჩელე მხარეს წარმოდგენილი არ ჰქონდა სათანადო მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენდა ნორმიდან მომდინარე შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელი იყო და სადავო ნორმას არ გააჩნდა სადავო ნორმატიული შინაარსი.

წინამდებარე დოკუმენტის პრაქტიკული დანიშნულების გათვალისწინებით, საკონსტიტუ-

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/21/1305 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №3/4/858 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

ციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განსაკუთრებით გაუსვას ხაზი გასული წლის განმავლობაში გამოკვეთილ პრობლემატურ ასპექტს, რომელიც უკავშირდება ნორმატიული აქტის კონკრეტული გრამატიკული ერთეულების (სიტყვების) გასაჩივრებას.

ნორმატიული აქტის კონკრეტული გრამატიკული ერთეულის გასაჩივრება

უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე, რომელმაც შესაძლოა, დაარღვიოს ძირითადი უფლება ან სხვა კონსტიტუციური დებულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მხარე ასაჩივრებს არა კონკრეტული ქცევის წესის დამდგენ ნორმას, არამედ ნორმატიული აქტის კონკრეტულ სიტყვებს გრამატიკულ ერთეულებში, რომლებიდანაც შეუძლებელია რაიმე ქცევის წესის იდენტიფიცირება.

№881 კონსტიტუციური სარჩელით⁴ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესის და პირობების“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების „მხედველობის გამო“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის რიგ დებულებებთან მიმართებით. აღნიშნული წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა“. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დასახელებულ დებულებაში მოცემული სიტყვები „მხედველობის გამო“ აიძულებდა მას, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, უარი ეთქვა საჯარო სამსახურში დასაქმებაზე და აყენებდა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე ვალდებულია, მოახდინოს სადავო ნორმით დადგენილი რომელიმე წესის იდენტიფიცირება და მოითხოვოს მისი არაკონსტიტუციურად ცნობა. სადავო ნორმის სიტყვები „მხედველობის გამო“ დამოუკიდებლად არ განსაზღვრავდა რაიმე ქცევის წესს და მას არ გააჩნდა ავტონომიური შინაარსი. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო სიტყვები იყო მხოლოდ გრამატიკული ერთეული, რომელიც ქცევის წესს ქმნიდა მხოლოდ სხვა სიტყვებთან კავშირში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ სიტყვებს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შინაარსი და, შესაბამისად, არ იწვევდა მოსარჩელის უფლებების შეზღუდვას.

№1301 კონსტიტუციური სარჩელით⁵ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81¹ მუხლის სიტყვების „14 წლის ასაკიდან“ კონსტიტუციურობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81¹ მუხლი ადგენდა არასრულწლოვნის უფლებას, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, 14 წლის ასაკიდან დამოუკიდებლად მიემართა სასამართლოსათვის საკუთარი უფლებების დასაცავად. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა 14 წლამდე არასრულწლოვანს უკრძალავდა სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლებას და არღვევდა თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81¹ მუხლის ტექსტში მოცემული იყო სიტყვები, რომელთა კომბინაციითაც გრამატიკულად შესაძლებელია სხვადასხვა შინაარსის მქონე წინადადებების ჩამოყალიბება, თუმცა ეს არ გულისხმობდა, რომ თითოეული ეს სიტყვა დამოუკიდებლად ადგენდა რაიმე ქცე-

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/8/881 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა მაისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/17/1301 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მზია ტურაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

ვის წესს და იწვევდა მოსარჩელის უფლების შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრებულ სიტყვებს არ ჰქონდა დამოუკიდებელი შინაარსი და იყო მხოლოდ გრამატიკული ერთეულები, რომელთა კონსტიტუციურობაზეც სასამართლო ვერ იმსჯელებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ნორმატიული აქტიდან ისეთი გრამატიკული ერთეულების ამოღება, რომლებსაც არ გააჩნდათ უფლების შეზღუდვის რესურსი და, ამ გზით, მოსარჩელისათვის მისაღები საკანონმდებლო რეგულაციის შექმნა, სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის უფლებამოსილებას. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია №1301 კონსტიტუციური სარჩელი და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

ii) არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა

კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ მოსარჩელემ დაასაბუთოს ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და შესაბამის კონსტიტუციურ უფლებას შორის. კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან დაცული სფეროს, უფლებაში ჩარევის საფუძვლებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ცალკეულ უფლებებთან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნია მიხედულების უფრო ფართო ზღვარი, მაშინ როდესაც გარკვეული უფლებები აბსოლუტური ხასიათისაა და მათი შეზღუდვა დაუშვებელია. ამგვარი კონსტიტუციური წესრიგი ქმნის კონკრეტული უფლებების შინაარსისა და ფარგლების სწორი განმარტების საჭიროებას. კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის სწორი განმარტება და დაცვა გართულდება, თუ უფლების შეზღუდვა არ შეფასდა შესაბამის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით.

ამ თვალსაზრისით, უფლების შეზღუდვის სწორად შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის მიერ სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის ზუსტად წარმოჩენას და რელევანტური კონსტიტუციური დებულების იდენტიფიცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით განიმარტა სხვადასხვა უფლებით დაცული სფერო, პრაქტიკაში მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე არასწორად აღიქვამს ამა თუ იმ ძირითადი უფლების შინაარსს.

მაგალითად, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სანიკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის კონსტიტუციურობას.⁶ სადავო ნორმის თანახმად, პირს, რომელსაც ჯერ არ მიუმართავს სასამართლოსათვის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ, უფლება ჰქონდა, სასამართლოსათვის მიემართა შესაბამისი განცხადებით ხსენებული კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში. მოსარჩელე განმარტავდა, რომ იგი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია, თუმცა სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობის კონკრეტული ვადით შეზღუდვამ მას წაართვა საკუთარი უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობა. მოსარჩელე სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 15 ივნისის №2/11/716 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სანიკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია ადამიანის პირადული სფერო, მისი თავისუფლება, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რწმენა. აღნიშნული მუხლი იცავს პირის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და შეხედულება, არ იდევნებოდეს საკუთარი შეხედულებებისა თუ გამოთქმული მოსაზრებების გამო. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული დებულება არ მოიცავს პირის უფლებას, მიიღოს კომპენსაცია აზრისა და შეხედულებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ან აზრის გამოთქმისათვის დევნის გამო. ასეთ შემთხვევებში კომპენსაციის მიღების უფლება დაცულია არა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, არამედ კონსტიტუციის იმ დებულებით, რომელიც არეგულირებს უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლოს წესით ანაზღაურების საკითხს (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელისთვის პრობლემური იყო ის გარემოება, რომ სადავო ნორმა გამორიცხავდა წარსულში გამოხატული პოლიტიკური შეხედულებების გამო რეპრესირებულად აღიარების უფლებას და მიყენებული მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელე არ დავობდა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმას მიმართება არ ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან და სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნია დაუსაბუთებლად.

მიმდინარე წელს ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად მოსარჩელები სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას ითხოვდნენ იმ უფლებასთან მიმართებით, რომელიც სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის გვერდითი ეფექტია. ამ მხრივ აღსანიშნავია საქმე „ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები შეჰაბ აჰმედ ჰამუდი ჰამუდი და აჰმედ შეჰაბ აჰმედ აჰმედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც სადავოდ იყო გამხდარი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც ადგენდნენ თავშესაფრის მაძიებელი უცხოელის ვალდებულებას, არ დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში, ხოლო თავშესაფრის მაძიებლის ცნობის მიღებისთანავე უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის ჩაებარებინა სამგზავრო დოკუმენტი.⁷ მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი რეგულაცია ზღუდავდა მათი თავისუფალი გადაადგილების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი), რამდენადაც თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართვისას მათ ერთმეოდათ სამგზავრო დოკუმენტი და ვერ ტოვებდნენ საქართველოს ტერიტორიას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ანალიზიდან გამომდინარე განმარტა, რომ გასაჩივრებული დებულება ადგენდა საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვას, როგორც საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის წინაპირობას. სასამართლოს მითითებით, ზოგადად, ამა თუ იმ კანონიერი ინტერესის რეალიზებისათვის გარკვეული წინაპირობის დადგენა, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს სხვა უფლებით სარგებლობაზე, თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს ამ უფლების შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა საქართველოს მიერ უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის მარეგულირებელი წესის ნაწილი იყო და საქართველოს ტერიტორიის დატოვების შეზღუდვა პირდაპირ უკავშირდებოდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღნიშნული განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამასთანავე, თავშესაფრის მაძიებელს ნებისმერ დროს შეეძლო, უარი ეთქვა თავშესაფრის მოთხოვნაზე, რის შემდეგაც მას დაუბრუნდებოდა სამგზავ-

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/5/1249 განჩინება საქმეზე „ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები შეჰაბ აჰმედ ჰამუდი ჰამუდი და აჰმედ შეჰაბ აჰმედ აჰმედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რო დოკუმენტები და შეეძლებოდა საქართველოს ტერიტორიის დატოვება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ადგენდა არა საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლების, არამედ თავშესაფრის მიღების უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, თუ მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ უფლების რეალიზაციის წინაპირობები არაგონივრული ან დაუსაბუთებელი იყო, მას აღნიშნული შეზღუდვა უნდა გაესაჩივრებინა იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც ადგენდა თავშესაფრის მიღების უფლებას. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებას შორის და კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

გასული წლის განმავლობაში სადავო ნორმებსა და კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს შორის შინაარსობრივი მიმართების დასაბუთების კუთხით გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელთა შესახებაც საზოგადოების ინფორმირება ხელს შეუწყობს კონსტიტუციური სარჩელების უკეთ დასაბუთებას. ესენია: 1) თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით პირთა წრის მიმართ ნეიტრალური შინაარსის ნორმების გასაჩივრება; 2) სასჯელის პროპორციულობა და 3) სადავო ნორმის გასაჩივრება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებით.

პირთა წრის მიმართ ნეიტრალური ნორმების გასაჩივრება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული მიდგომის თანახმად, კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა სახეზეა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა ადგენს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორ მოპყრობას.

საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადავოდ იყო გამხდარი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საერთო სასამართლოს მოსამართლეთა კომპენსაციის გაანგარიშების წესის განმსაზღვრელი დებულების კონსტიტუციურობა.⁸ მოსარჩელის განმარტებით, სარჩელის შემოტანისას მოქმედი წესით გაანგარიშებული კომპენსაციის ოდენობა აღემატებოდა 2012 წლის პირველი სექტემბრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რეგულირების შესაბამისად განსაზღვრულ ოდენობას. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ამ წესის კანონის მიღებამდე პერიოდზე გაუვრცელებლობა იწვევდა პირთა გაუმართლებელ დიფერენცირებას და არღვევდა, მათ შორის, თანასწორობის უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის ცვლილებამდე არსებული, ისევე როგორც მოქმედი რედაქცია არეგულირებდა ერთი და იმავე პირთა წრის (მოსამართლეების) უფლებებს. ამასთანავე, სადავო რეგულირებით არ ხდებოდა პირთა რომელიმე წრის მიმართ განსხვავებული რეჟიმის დადგენა, სადავო ნორმა ადგენდა კომპენსაციის გამოთვლის ახალ წესს, რომელიც თანაბრად მოქმედებდა ყველა მოსამართლის მიმართ. ამრიგად, გასაჩივრებული დებულებით უფლებრივი რეჟიმის ცვლილება თანაბრად გავრცელდა ამ უფლებით მოსარგებლე ყველა პირზე და რომელიმე ცალკეული ჯგუფისთვის რაიმე განსხვავებული რეგულაცია არ დაწესებულა. შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო დასაბუთებული პირთა მიმართ დიფერენცირება, არ იყო წარმოჩენილი შინაარსობრივი მიმართება

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/4/1292 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ უფლებასა და სადავო ნორმას შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ანალოგიური საფუძვლით მიიჩნია დაუსაბუთებლად №1253 კონსტიტუციური სარჩელი.⁹ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და ააიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გასაჩივრებული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ რიგი ნორმები, რომელთა თანახმადაც, არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია შეზღუდული იყო მანამ, სანამ ცნობილი არ გახდებოდა არჩევნების ჩატარების ზუსტი თარიღი. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმებით დადგენილი წესები დამკვირვებელი ორგანიზაციების მოთხოვნებთან და დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასთან დაკავშირებით ერთნაირად ვრცელდებოდა ყველა სუბიექტზე და არ იკვეთებოდა პირებს შორის დიფერენცირება. დამკვირვებლად რეგისტრაციის მსურველ ყველა პირს არჩევნების ჩატარების ზუსტი თარიღის განსაზღვრამდე ერთნაირად ეზღუდებოდა ამ უფლების განხორციელება და, შესაბამისად, სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა რომელიმე პირთა წრის განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევას. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა პირთა შორის დიფერენცირების ფაქტის არსებობა და კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

სასჯელის პროპორციულობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ქმედებისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრის სფეროში კანონმდებელს აქვს ფართო მიხედულება. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული სასჯელის ზომა და მისი პროპორციულობა სრულად უკონტროლოა. კანონმდებლის მოქმედების თავისუფლების ფარგლები ზღვარდადებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებების მოთხოვნებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული უმართლობისათვის განსაზღვრული სანქციის ზომა, შესაძლებელია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სასჯელის ზომა აშკარად არაგონივრული და არაპროპორციულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ქმედებისათვის განსაზღვრული სასჯელის ზომის თანაზომიერების შესახებ დავის შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია, წარმოაჩინოს სასჯელის აშკარად არაპროპორციულობა.

დასახელებული მოთხოვნის საპირისპიროდ, გასული წლის განმავლობაში წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელების ნაწილში მოსარჩელები მხოლოდ ზოგადად მიუთითებდნენ სასჯელის არაპროპორციულობაზე და არ ასაბუთებდნენ, კონკრეტულად რა განაპირობებდა სასჯელის ზომის აშკარა არაპროპორციულობას. მაგალითად, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს სახალხო დამცველი სადავოდ ხდიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ყველა იმ დებულების კონსტიტუციურობას, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ პატიმრობას, როგორც სახდელს.¹⁰ მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის საპატიმრო სახდელი

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №3/6/1253 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და ააიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/10/1290 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

არაპროპორციულად მძიმეა და ეწინააღმდეგება პატივისა და ღირსების შემლახველი, არაადამიანური და სასტიკი სასჯელის გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ სახდელის კონკრეტული ზომა არის იმდენად მკაცრი, რომ ის შეიძლება დაკვალიფიცირდეს კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად. ამასთანავე, სანქციის პროპორციულობაზე მსჯელობისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული აკრძალული ქმედების სიმძიმე და მის საპასუხოდ დადგენილი სასჯელის ურთიერთმიმართება. დასახელებულ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე აპელირებდა მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ სამართალდარღვევები მოქცეული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და არა სისხლის სამართლის კოდექსში. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არ აღწევს ინტენსივობის იმ ხარისხს, რომლის საპასუხო სანქციაც იქნება ადმინისტრაციული პატიმრობა, არ არის საკმარისი სანქციის არაპროპორციულობის დასაბუთებისათვის. ამისათვის აუცილებელია, დასაბუთებული იყოს კონკრეტული სამართალდარღვევის სიმძიმის, მისგან გამომწვეული საზოგადოებრივი საშიშროებისა და სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელის (სახდელის) აშკარა არაპროპორციულობა. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო დასაბუთებული შინაარსობრივი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცულ უფლებასთან და არ მიიღო იგი არსებითად განსახილველად.

მსგავსი საფუძვლით არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული №1292 კონსტიტუციური სარჩელი.¹¹ აღნიშნულ სარჩელში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ არაკონსტიტუციური იყო პენიტენციურ დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, აგრეთვე დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემისათვის დაწესებული სასჯელის ზომა (თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული ქმედებების კრიმინალიზაცია ემსახურებოდა ისეთ მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, როგორცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოება, პენიტენციურ დაწესებულებაში და მოთავსების სხვა ადგილებში წესრიგის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ამ დაწესებულებების შეუფერხებელი საქმიანობა, დებორგანიზაციის, დესტაბილიზაციისა და დანაშაულის თავიდან აცილება, საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევის პრევენცია, ამ დაწესებულების თანამშრომელთა და საკუთრივ პატიმრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის, პატიმართა დაცვა დაზიანებისა თუ თვითდაზიანებისაგან და სხვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი მომეტებული რისკებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაღალი იყო პენიტენციური დაწესებულების ან განთავსების სხვა ადგილის უსაფრთხოების დაცვის საჭიროება, რის გამოც კანონმდებელს ჰქონდა ფართო უფლებამოსილება, განესაზღვრა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა და სასჯელის ზომა. მოსარჩელეს წარმოდგენილი არ ჰქონდა კონკრეტული არგუმენტაცია, თუ რატომ იყო შესაბამისი ქმედება მცირე საფრთხის შემცველი და რაში ვლინ-

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/6/1292 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დებოდა ამ საფრთხეებთან მიმართებით სასჯელების აშკარა არაპროპორციულობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნია დაუსაბუთებლად და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

სადავო ნორმის გასაჩივრება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელე ვალდებულია, წარმოაჩინოს ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და შესაბამის კონსტიტუციურ დებულებას შორის. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ითხოვს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ზოგადად საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით, თითოეულ კონსტიტუციურ დებულებასთან შინაარსობრივი კავშირის წარმოჩენის გარეშე კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და არ მიიღება არსებითად განსახილველად.

საქმეზე „შპს „ნავთლული“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით.¹² სადავო ნორმა განსაზღვრავდა მეწარმე სუბიექტის პასუხისმგებლობას, შესატანს, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებებს. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ნორმა მისი ბუნდოვანების გამო წარმოშობდა მნიშვნელოვან ხარჯებს მეწარმე სუბიექტისათვის და არღვევდა მის უფლებებს. მოსარჩელე ასევე უთითებდა, რომ მოთხოვნათა დეტალურ დასაბუთებას წარმოადგენდა არსებითი განხილვის სხდომაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მოსარჩელემ დაასაბუთოს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებას შორის, რაც ხსენებულ კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, კონსტიტუციურ სარჩელში აპელირება მთლიანად კონსტიტუციის მე-2 თავის დარღვევაზე, კონკრეტული უფლების იდენტიფიცირების გარეშე ვერ ჩაითვლება სარჩელის დასაბუთებად. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას ვერ განაპირობებდა მოსარჩელის მითითება დეტალური დასაბუთების არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენის თაობაზე, ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, სათანადო არგუმენტაცია წარმოდგენილი იყოს უშუალოდ სარჩელში და არა ზეპირსიტყვიერად, არსებითი განხილვის სხდომაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

1.1.2. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შემოტანის ვალდებულებას. ამავე კანონით განსაზღვრულია კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა კომპეტენციებთან მიმართებით. 2018 წელს პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილი სუბიექტის სწორად იდენტიფიცირება რამდენიმე ძირითად პრობლემურ საკითხთან არის დაკავშირებული. აღნიშნული საკითხები წინამდებარე დოკუმენტში დეტალურად იქნება განხილული.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/12/1310 განჩინება საქმეზე „შპს „ნავთლული“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

i) პირი არ ექცევა სადავო ნორმის მოქმედების სფეროში

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ევალება, დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმის მოქმედება მასზე ვრცელდება ან არსებობს განჭვრეტად მომავალში ნორმის მოქმედების გავრცელების რეალური ალბათობა. მხოლოდ ჰიპოთეტური ვარაუდი, რომ მოსარჩელე ოდესმე მოექცევა ნორმის მოქმედების ქვეშ, არ არის საკმარისი მის უფლებამოსილ სუბიექტად აღიარებისთვის.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო პენსიაზე უფლების წარმოშობის ასაკს. სადავო ნორმის მიხედვით, ასეთი ასაკი მამაკაცთა შემთხვევაში 65 წელია, ხოლო ქალთა შემთხვევაში - 60 წელი. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის ასაკზე და მიუთითა, რომ საქმის განხილვის დროს მოსარჩელე 36 წლის იყო და მისი მოთხოვნა უკავშირდებოდა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების 24 წლის შემდეგ, 60 წლის ასაკში განხორციელებას. სასამართლოს პოზიციით, შეუძლებელია ზუსტი დამატერებლობით იმის მტკიცება, რომ 24 წლის შემდეგ, სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსისა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, მას კვლავ იგივე შინაარსი ექნება და მოსარჩელე გახდება დადგენილი დიფერენციაციის სუბიექტი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი ხანგრძლივი პერიოდის გამო მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რომ სადავო ნორმა განჭვრეტად მომავალში გამოიწვევდა მისი უფლების შეზღუდვას და კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.¹³

ii) Actio Popularis

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიიჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს უშუალოდ მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები¹⁴. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის „actio popularis-ის“ წარდგენის კომპეტენციას. სხვა პირთა უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ სპეციალური სუბიექტებისათვის.¹⁵

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე იყო ადვოკატი, რომელიც სადავოდ ხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგ ნორმებს და მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები გაუმართლებლად ზღუდავდა მისი დასაცავი პირების კონსტიტუციურ უფლებებს. მოსარჩელე მიუთითებდა მხოლოდ მისი დასაცავი პირების უფლებების დარღვევაზე და არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომ სადავო ნორმები თავად მის მიმართ იქნა გამოყენებული. მოსარჩელეს ასევე არ მიუთითებია სადავო ნორმების მომავალში მასზე გავრცელების შესაძლებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუ-

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

14 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

15 იხ. მაგ.: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე დავობდა სხვისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე, შესაბამისად, არ ჩათვალა იგი კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლება-მოსილ სუბიექტად და არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად.¹⁶

ზემოაღნიშნული საფუძვლით სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად არ ცნო მოსარჩელე საქმეზე „ააიპ „წყლის მრეწველთა ექსპორტიორ-იმპორტიორთა და ბიზნესოპერატორთა ასოციაცია“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ნორმას, რომელიც ადგენდა დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის შესაბამისობის შეფასების პროცედურას. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სადავო რეგულირება მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ექსპორტის შესაძლებლობას აძლევდა მხოლოდ პროდუქციის უშუალო მწარმოებლებს, ხოლო სხვა ბიზნესოპერატორებს ეკრძალებოდათ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე დავობდა სხვა პირთა უფლებების დარღვევაზე, რადგან ის თავად არ იყო ბიზნესოპერატორი, თუმცა აპელირებდა იმ ბიზნესოპერატორების სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვაზე, რომლებიც უშუალოდ არ აწარმოებდნენ პროდუქციას და შესაძლებლობა არ ჰქონდათ ექსპორტზე გაეტანათ ზემოაღნიშნული პროდუქცია. აღნიშნული გარემოება ცხადად მიუთითებდა, რომ კონსტიტუციური სარჩელი „actio popularis“ იყო. შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელე არ ცნო კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილ სუბიექტად და უარი თქვა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.¹⁷

iii) მოსარჩელის უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი წარადგინონ მხოლოდ მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. თუმცა მოსარჩელები ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ არის მოთავსებული მეორე თავში. სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხებოდა საქმე „საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხსენებულ საქმეზე მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სიტყვების „წინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“ კონსტიტუციურობას. მათი მითითებით, გასაჩივრებული რეგულირება, სხვა კონსტიტუციურ დებულებებთან ერთად, ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე ფიზიკური პირები უფლებამოსილი არიან, იდავონ ნორმატიული აქტის მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამისობის საკითხებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი არ არის მოქცეული საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში. შესაბამისად, სასა-

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/11/1302 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/9/1336 განჩინება საქმეზე „ააიპ „წყლის მრეწველთა ექსპორტიორ-იმპორტიორთა და ბიზნესოპერატორთა ასოციაცია“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

მართლოს არ ჰქონდა კომპეტენცია, ფიზიკური პირების სარჩელის საფუძველზე ემსჯელა სადავო ნორმის დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით კონსტიტუციურობის თაობაზე. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში მოსარჩელე მხარე არაუფლება- მოსილ სუბიექტად იქნა მიჩნეული.¹⁸

1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, ისევე როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ საქმეებს. მიმდინარე წელს არაერთხელ დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი კომპეტენციის განმარტების საჭიროების წინაშე.

მაგალითად, №760 კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმები განსაზღვრავდა 1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველებს. მოსარჩელის არგუმენტაციით, გასაჩივრებული რეგულაციები ადგენდა გაუმართლებელ დიფერენცირებას, ვინაიდან სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირთა წრიდან გამორიცხავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლამდე არჩეულ დეპუტატებს. მოსარჩელე მხარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის საფუძველზე, ითხოვდა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას იმგვარად, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლამდე არჩეულ დეპუტატებს დანიშნოდათ სახელმწიფო კომპენსაცია.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართული იყო არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებისკენ, არამედ ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ. ამგვარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოსარჩელეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მინიჭება სცდებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, №760 კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.¹⁹

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - კობა ეპიტაშვილი, ხვინა ყირმიზაშვილი, ლევან გაბაშვილი, ბადრი ბეჟანიძე და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე მხარე ითხოვდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმა ითვალისწინებდა დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირებას ცალკეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის. მოსარჩელე მხარე მოითხოვდა ხსენებული ნორმის გაგრძელებას და სასჯელის შემცირებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭებას იმ მსჯავრდებულებზეც, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის №3/1/707 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/1/760 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვილენი ალაგიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, ირაკლი მოწერელია და სხვები (სულ 52 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შინაარსობრივად კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის შექმნის მოთხოვნის იდენტური იყო, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილია და არა საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. შესაბამისად, №828 კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.²⁰

არსებითად იმავე პრობლემის მქონე იყო №1274 კონსტიტუციური სარჩელი. აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი, მათ შორის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმის შესაბამისად, „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით“. მოსარჩელის განმარტებით, სახელმწიფო კომპენსაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის შეადგენს 1200 ლარს, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისათვის - 560 ლარს. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, საერთო სასამართლოების სხვა მოსამართლეებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას. მოსარჩელე მხარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის საფუძველზე, ითხოვდა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას იმგვარად, რომ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კომპენსაციის თანაბარი ოდენობით და იმავე საფუძველებით.

მოცემულ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ და საკითხის შეფასება სცდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას. აღნიშნულის გამო, №1274 კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.²¹

1.1.4. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა ემსახურება პროცესის ეკონომიურობას და საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, არ განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილია. ამავ დროს, დასახელებული ნორმა უშვებს სასამართლო პრაქტიკის გადახედვის შესაძლებლობას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან“.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/4/828 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - კობა ეპიტაშვილი, ხვინა ყირმიზაშვილი, ლევან გაბაშვილი, ბადრი ბეჟანიძე და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №3/7/1274 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჭორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სიტყვების „წინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უკვე იყო სასამართლოს მსჯელობის საგანი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სადავო სიტყვების კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებაში საქმეზე „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სადავო რეგულაცია კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია. შესაბამისად, დასახელებულ კონსტიტუციურ სარჩელში დასმული საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია. ხსენებულიდან გამომდინარე, №707 კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.²²

საქმეზე „უცხო ქვეყნის საწარმო „შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“ მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192¹ მუხლისა და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 78¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. მოსარჩელები მოითხოვდნენ სადავო ნორმებით დადგენილი პროდუქციის მარკირების და მარკირების ნომინალური ღირებულების გადახდის ვალდებულების არაკონსტიტუციურად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, ხსენებული სადავო ნორმები ერთხელ უკვე იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 26 ივლისს მიიღო №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური სარჩელი და მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი ნორმები შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრებისა და თავისუფალი მენარმეობის უფლებებს. შესაბამისად, №875 კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული მოთხოვნა უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რის გამოც კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის დასახელებულ ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.²³

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 30 მარტის №3/1/707 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/18/875 განჩინება საქმეზე „უცხო ქვეყნის საწარმო „შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“.

1.1.5. სუბსიდიურობა

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ „სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის“.

2018 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველად ხსენებული ნორმა გამოიყენა მხოლოდ ერთხელ, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 10³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. მოსარჩელე მხარე დაობდა, პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელების შეზღუდვის კონსტიტუციურობის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელება აკრძალულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლით. მოსარჩელე მხარე ასაჩივრებდა მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით დადგენილ შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონქვემდებარე აქტით დადგენილი ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობის თაობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად²⁴.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“.

1.2. გადაწყვეტილების დამძლევნი ნორმები

1.2.1. პლენუმი

საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დააკმაყოფილა საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეების პროკოპი სავვიდისა და დიანა შამანიდის (კონსტიტუციური სარჩელები №1267 და №1268) მოთხოვნა და ძალადაკარგულად ცნო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3³ პუნქტი, რომელიც „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების შეჩერებას.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მათ სადავო ნორმით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების საწინააღმდეგოდ ებღუდებოდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მათ შორის, მემკვიდრეობით მიღებული) მიწის შეძენის შესაძლებლობა. ამასთან, კონსტიტუციურ სარჩელებში მითითებული იყო, რომ სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინებით ძალადაკარგული ნორმების იდენტური შინაარსი. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე შუამდგომლობდა სადავო ნორმის საქმის არსებითად განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი, საქმის განხილვის მომენტისათვის ჯერ კიდევ აუმოქმედებელი ცვლილებებით ახლებურად ჩამოყალიბდა საკუთრების უფლების დამდგენი დებულება და გამოირიცხა უცხოელების კონსტიტუციური უფლება, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მოპასუხე ასევე მიუთითებდა, რომ საქართველოს პარლამენტი კვლავ იზიარებდა 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ლეგიტიმური მიზნების დაცვის საჭიროებას. მოპასუხის პოზიციით, სადავო ნორმა ემსახურებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას, აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სტაბილური გარემოს შენარჩუნებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, კრძალავდა უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას. უცხოელებს საკუთრების უფლების შეძენა ეკრძალებოდათ, მათ შორის, მემკვიდრეობით მიღების გზით ან/და იმ მიწაზე, რომელსაც მართლზომიერად ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვამდე. ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები იყო 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმათა ლეგიტიმური მიზნების იდენტური.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის დროებით ხასიათს და აღნიშნა, რომ უფლების თვითმიზნური შეზღუდვა თანაბრად არაკონსტიტუციურია როგორც მუდმივად, ისე - დროებით მოქმედი ნორმის პირობებში. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით

შეფასებულ სადავო შეზღუდვას არ გააჩნდა ლოგიკური კავშირი დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან, მოქმედი სადავო ნორმის დროები ხასიათი არ იქნა მიჩნეული იმგვარ სხვაობად, რომელიც საჭიროებდა არსებითი განხილვის ფორმატში შეფასებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შესული, საქმის განხილვისას აუმოქმედებელი ცვლილებები ქმნის განსხვავებულ სამართლებრივ რეალობას და საჭიროებს საქმის არსებითად განხილვას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონი ძალაში შესვლამდე ვერ ჩაითვლება მოქმედი კონსტიტუციურსამართლებრივი სისტემის ნაწილად. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში შესული და მომავალში ასაქმედებელი ცვლილება, რომლის თანახმადაც, ახლებურად ყალიბდება საკუთრების ძირითადი უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულება, გავლენას არ ახდენს მოქმედი კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებზე და არ განაპირობებს საქმის არსებითი განხილვის საჭიროებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის საჭიროება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა და სადავო ნორმა ძალადაკარგულად ცნო საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

განჩინებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ევა გოცირიძის, მანანა კობახიძის და მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი.

1.2.2. პირველი კოლეგია

საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 27 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1282).

მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო ნორმები ადგენდა პასუხისმგებლობას მარიხუანის უკანონოდ მოხმარებისათვის და იმეორებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ სისხლის სამართლის ნორმასთან მიმართებით განსხვავება ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და გამოიხატებოდა იმავე შინაარსის ურთიერთობის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით მოწესრიგებაში. მოსარჩელეთა პოზიციით, ად-

მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმასთან მიმართებით განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ნორმა დასჯადად აცხადებდა მარიხუანის ერთჯერად მოხმარებას მაშინ, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის რეგულირების ქვეშ ექცეოდა მარიხუანის განმეორებითი მოხმარება. შესაბამისად, მოსარჩელეები ითხოვდნენ გასაჩივრებული ნორმების ძალადაკარგულად ცნობას განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში, საქმის არსებითად განხილვის გარეშე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებულ ნორმებთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასა, არსებობდა თუ არა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები.

სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა იმავე ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობა. სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნაცვლად ანალოგიური შინაარსის სამართალურთიერთობას აწესრიგებდა ამავე კოდექსის 273¹ მუხლის პირველი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ის ტექნიკური და ფორმალური განსხვავება, რაც გამოიხატებოდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იმავე კოდექსის სხვა მუხლში ასახვით, არ წარმოშობდა ნორმებს შორის იმგვარ სხვაობას, რომ საჭირო ყოფილიყო ნორმის კონსტიტუციურობის არსებითი განხილვის ფორმატში შემოწმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, დასახელებულ სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია. შესაბამისად, არ არსებობდა საქმის პლენუმზე გადაცემის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის მიჩნეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილების („საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დამძლევად და ცნობილ იქნა ძალადაკარგულად საქმის არსებითად განხილვის გარეშე.

რაც შეეხება მარიხუანის უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია სადავო ნორმის დამძლევ შინაარსთან მიმართებით და კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ხსენებულ ნაწილში მიიღო არსებითად განსახილველად.

1.3. გადაწყვეტილებები

1.3.1. პლენუმი

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №752).

№752 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვების „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

გასაჩივრებული ნორმით, შეზღუდულია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების შესახებ იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც მოპოვებულია კერძო პირების მიერ და შეტანილია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში. აღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებზე გაიცემა მხოლოდ ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობით.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ წიაღი გარემოს ნაწილია და განეკუთვნება სახელმწიფოს საკუთრებას, საზოგადოებრივ სიკეთეს. შესაბამისად, წიაღის შესახებ ინფორმაცია არ არის კერძო პირის საკუთრების უფლებით დაცული და მასზე წვდომის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოპოვებელი არ არის უშუალოდ სახელმწიფო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ამგვარ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არღვევდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი) კონსტიტუციურ უფლებებს.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ გაამჟღავნოს მისთვის მინდობილი ინფორმაცია იმგვარად, რომ შეილახოს ამ ინფორმაციის მესაკუთრეთა უფლებები. მოპასუხის მითითებით, სადავო რეგულაციით გათვალისწინებული ინფორმაცია კერძო პირების მიერ არის მოპოვებული, მათი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა და ეკონომიკური ღირებულება აქვს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება ინფორმაციის მესაკუთრის საკუთრების უფლებისა და მენარმეობის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას გამოიწვევდა.

დასახელებულ საქმეზე პლენუმმა შეცვალა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცეოდა სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ, მათ შორის, ისეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც, რომელიც უკავშირდება სხვა პირების კერძო საკითხებს. თავის მხრივ, აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვის უფლებას აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, თუმცა ეს

გარემოება სრულად არ ამორიცხავს ამ ინფორმაციას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროდან. აუცილებელია, ამ ორ დაპირისპირებულ უფლებრივ სიკეთეს შორის დადგინდეს სამართლიანი ბალანსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს, მათ შორის, სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში წიაღით სარგებლობის შესახებ კანონით დადგენილი წესით წარდგენილ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობას. გასაჩივრებული ნორმა დაუშვებლად მიიჩნევა და დასახელებული ინფორმაციის გასაჯაროების შესაძლებლობას, ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. შესაბამისად, სახეზე იყო სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა ემსახურებოდა ისეთი ღირებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორებიცაა წიაღის პარამეტრების შესახებ ინფორმაციაზე საკუთრების უფლების, მენარმეობის თავისუფლებისა და კონკურენციის დაცვა, აგრეთვე წიაღითა და წიაღისეულით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის არარსებობის პირობებში ნებისმიერ პირს ექნებოდა წიაღის პარამეტრების შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა, რაც ნეგატიურად აისახებოდა ინფორმაციის მესაკუთრეთა უფლებებზე და შეაფერხებდა წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული სამენარმეო საქმიანობის განხორციელებას, აგრეთვე შემცირდებოდა ამ დარგის კვლევისადმი არსებული კომერციული ინტერესი და შეფერხდებოდა წიაღით სარგებლობის სფეროს განვითარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმებით რეგულირებული ინფორმაციის ფლობა თავისთავად კომერციული სიკეთეა, რომლის ღირებულება ვლინდება არა მხოლოდ ინფორმაციის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას გამოყენებაში, არამედ იგი ასევე გამოსადეგია მნიშვნელოვანი კომერციული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელს გახდის მესამე პირების მიერ მისი ეკონომიკური მიზნით გამოყენებას, რაც გამოიწვევდა ინფორმაციის მნიშვნელოვნად გაუფასურებას, გამოირიცხებოდა მოცემული ინფორმაციის შექმნით დაინტერესება და აზრი დაეკარგებოდა დასახელებულ პირთა მიერ ამგვარი ინფორმაციის საკუთარი რესურსით მოპოვებას. ამდენად, შეუძლებელი იყო სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზნების იმავე ეფექტურობით მიღწევა ინფორმაციის დახურვის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ წიაღის აგებულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას გადაწონის ინფორმაციის მესაკუთრის, მენარმეობის თავისუფლებისა და წიაღით რაციონალური სარგებლობის საჯარო ინტერესების დაცვის საჭიროება. შესაბამისად, სამართლიანად იყო დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს, შეაგროვოს, დაამუშაოს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული სრული და ობიექტური ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას, სახელმწიფო უფლებამოსილია, თავად შეარჩიოს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ფორმა. კერძოდ, სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური

შესაძლებლობა, თავად შეაგროვოს და საზოგადოებისათვის ცნობილი გახადოს ამგვარი ინფორმაცია, აგრეთვე უზრუნველყოს კერძო პირების მიერ შეგროვებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ამასთანავე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, გარემოს მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის გამოიყენოს რომელიმე კონკრეტული ფორმა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნებოდა გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის მიწოდების სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების განხორციელების წესის და პირობების განსაზღვრა. სადავო ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს წიაღის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გასაჯაროებას, ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე, თუმცა იგი არ აფერხებს სახელმწიფო შესაძლებლობას, თავად შეაგროვოს, დაამუშაოს და მიაწოდოს საზოგადოებას გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. უფრო მეტიც, აღნიშნული მიზნებისათვის, სახელმწიფო არ არის შეზღუდული, გამოიყენოს, მათ შორის, სახელმწიფო ფონდებში არსებული ინფორმაცია. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი არ მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გარემოს მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოახდინოს აუცილებლად კერძო პირების მიერ შეგროვებული ინფორმაციის გასაჯაროების გზით. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით არ იზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული უფლება.

საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ქანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბერს დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების - ჯიმშერ ცხადაძისა და მამუკა ქანტურიას კონსტიტუციური სარჩელები (რეგისტრაციის №767 და №1272) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სადავო ნორმის თანახმად, სასამართლოს მანდატურად სამსახურის ზღვრული ასაკი იყო 50 წელი. მოსარჩელეთა პოზიციით, სასამართლოს მანდატურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი დაკავშირებულია ინდივიდუალურ უნარ-ჩვევებთან და არ არის დამოკიდებული პირის ასაკზე. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა, რომლის საფუძველზეც 50 წელს გადაცილებული პირებისათვის გამოირიცხებოდა სასამართლოს მანდატურად სამსახური, იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლებას.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანი იყო მანდატურის სამსახურის ეფექტური და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა. სადავო რეგულაციით დადგენილი ასაკის მიღწევა, როგორც წესი, შემთხვევათა უმრავლესობაში იწვევს მანდატურის საქმიანობისთვის საჭირო უნარების დაქვეითებას, რაც განაპირობებდა 50 წლის ასაკს მიღწეული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მანდატურის ფუნქციების სრულფასოვნად და ეფექტურად განხორციელება საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინტერესია, რომლის მისაღწევადაც კანონმდებელი უფლებამოსილია, შეზღუდოს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მიუთითა, რომ სასამართლოს მანდატურს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მინიჭებული აქვს ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებების, აგრეთვე იარაღის გამოყენების უფლებამოსილება. შესაბამისად, მანდატურის უფლებამოსი-

ლებების სრულყოფილად შესრულება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. თუმცა საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ 50 წლის ასაკს მიღწეულ პირთა უმრავლესობაში იმდენად იყო დაქვეითებული ფიზიკური უნარები, რომ პირი ვერ შეძლებდა იმგვარი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა საჭიროებდეს ფიზიკური ძალის, იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა ადამიანის ფიზიკური უნარებისა და მათი დაქვეითების ინდივიდუალურ ხასიათს, თუმცა სპეციალისტის ახსნა-განმარტების საფუძველზე აღნიშნა, რომ ფიზიკური მონაცემების დაქვეითება და ჯანმრთელობის გაუარესება არ არის 50 წლის ასაკის მიღწევით გამოწვეული და პირდაპირ არ უკავშირდება ამ ასაკობრივ ჯგუფში მოხვედრას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასევე შესაძლებელი იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომხდარიყო პირის ფიზიკური მონაცემების შეფასება და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი მანდატურის თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები გამორიცხავდა მათი ასაკობრივი ზღვრის საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლების აუცილებლობას. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებისთვის ასაკობრივი ცენზის დაწესება მაშინაც კი, თუ პირებს ასაკის გამო არ აქვთ დაქვეითებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამსახურის განხორციელებისათვის აუცილებელი მონაცემები. კერძოდ, შესაძლებელია, სამსახურში მიღების უფლება შეეზღუდოთ აღნიშნულ ასაკთან მიახლოებულ ასაკობრივ ჯგუფებს, იმაზე მითითებით, რომ შესაბამისი ასაკის მიღწევასა გართულდება მათი ჩანაცვლება და ეჭვქვეშ დადგება სამსახურში კადრების სტაბილურობა და ეფექტიანობა. თუმცა განსახილველი საქმის ფარგლებში, მოპასუხეს არ დაუსაბუთებია, რომ ამ თვალსაზრისით არსებობდა სასამართლოს მანდატურის სამსახურის ეფექტიანობის ხელშეშლის რეალური საფრთხე, რაც, თავის მხრივ, პრობლემებს შექმნიდა საერთო სასამართლოებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის დისკრიმინაციულ ბუნებაზე მსჯელობისას დაადგინა, რომ დიფერენცირებულ მოპყრობას გააჩნდა იდენტური ლეგიტიმური მიზნები, რაც მოპასუხის მიერ გაცხადებული იყო სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და მისი შეუფერხებლად განხორციელების უფლებასთან მიმართებით. ამდენად, სასამართლომ, მის მიერ უკვე გამოკვლეულ და დადგენილ გარემოებებზე დაყრდნობით მიუთითა, რომ სადავო ნორმა არსებითად თანასწორ სუბიექტებს - ერთი მხრივ, 50 წლამდე და, მეორე მხრივ, 50 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს გაუმართლებლად ეპყრობოდა უთანასწოროდ და იწვევდა დისკრიმინაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი) და სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების (საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) უფლებებს.

1.3.2. პირველი კოლეგია

სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“ და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილებები საქმეებზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქარ-

თველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №671) და „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №811).

დასახელებულ საქმეებში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6³ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით²⁵. სადავო ნორმები, ჩათვლის უფლების გარეშე, დღგ-ისგან ათავისუფლებდა საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით შესრულებული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, აგრეთვე რესტავრაციისა და მოხატვის მომსახურებას. იმავდროულად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებდა სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების შესაძლებლობას.

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმები დასახელებულ პრივილეგიებს ანიჭებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსარჩელე რელიგიური ორგანიზაციები და მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა მიმართაც სადავო ნორმები ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მოპყრობას. თუმცა დიფერენცირებული მოპყრობა გამართლებული იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვით, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით და ამავე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმატიული ჩარჩოს რეალიზაციის ლეგიტიმური მიზნებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური გაერთიანებების უმთავრესი მიზანი მორწმუნეთა მსახურებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და რელიგიური საქმიანობის კოორდინაციაა. დასახელებული მიზნები თანაბრად გააჩნია როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ისე მოსარჩელე რელიგიურ ორგანიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძარბებელ პირებს თანაბრად გააჩნდათ როგორც სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების, ისე რელიგიური დაწესებულებების მშენებლობისა და მსახურებისთვის საჭირო პირობების შექმნის ინტერესი. ვინაიდან საგადასახადო შეღავათით სარგებლობა და სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღება მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის იყო შესაძლებელი, სასამართლომ გაიზიარა მხარეთა არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ადგენდა უთანასწორო მოპყრობას არსებითად თანასწორ პირებს შორის, ხოლო დიფერენცირების ნიშანი იყო რელიგია.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რელიგიური ნიშნით დიფერენცირების მართლზომიერება საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მკაცრი ტესტით. სასამართლომ, უპირველესად, იმსჯელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით.

25 დავის საგანი სრულად: №671 კონსტიტუციურ სარჩელზე: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

№811 კონსტიტუციურ სარჩელზე: „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 63 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

მისი განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ღირებულ კონსტიტუციურ ინტერესს წარმოადგენს. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს ძეგლთა დაცვის მინიმალური პირობები, მათ შორის, რესტავრაციის სტანდარტები. მიუხედავად ამისა, განსახილველი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოა, რომელი რელიგიური ორგანიზაციის დაკვეთით შესრულდება სამუშაო, თუ დაცული იქნება შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნები.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო რეგულირება მიმართული იყო არა კონკრეტულად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, არამედ იმ მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისკენ, რომელიც საპატრიარქოს დაკვეთით ხორციელდებოდა. ამდენად, სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ შესაძლოა მოქცეულიყო როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ასევე ამგვარი სტატუსის არმქონე სხვა ტაძრებთან და ეკლესიებთან დაკავშირებული მომსახურება. ამავე დროს, სადავო ნორმის საფუძველზე დღგ-ისგან არ თავისუფლდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით სხვა პირის (საპატრიარქოს გარდა) დაკვეთით განხორციელებული მომსახურებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენციაციას არ გააჩნდა ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან და ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სრულად იყო შესაძლებელი არსებითად თანასწორ პირებს შორის დიფერენცირების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა, რამდენად წარმოადგენდა სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მოთხოვნების აღსრულების მექანიზმს. კერძოდ, სასამართლომ შეაფასა, რამდენად მოითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი პრივილეგიების მინიჭებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და ამ ფორმით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შეზღუდვას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანს არ წარმოადგენდა მართლმადიდებლობის, როგორც რელიგიური რწმენის უპირატესობის წარმოჩენას სხვა რელიგიებთან მიმართებით. კონსტიტუციის განსახილველი დანაწესის ნებისმიერი პრივილეგიის მინიჭების საფუძველად განხილვა აზრს დაუკარგავდა თანასწორობის უფლებას და შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის, მათ შორის, მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებული იყო მის ისტორიულ ღვაწლთან, თუმცა ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განხილულ იყოს როგორც ნებისმიერი პრივილეგიის ლეგიტიმურობის თვითკმარი წყარო. შესაბამისად, სადავო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე შეფასდა, სადავო პრივილეგია რამდენად იყო განპირობებული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული როლით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული უფლებრივი უპირატესობები არ იყო პირობადადებული რაიმე ისტორიული გარემოებებით. კერძოდ, არც მინიჭებულ საგადასახადო შეღავათს და არც სახელმწიფო ქონების ეკლესიისთვის უსასყიდლოდ გადაცემას არ გააჩნდა პირდაპირი, რაციონალური და გარდაუვალი კავშირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლთან საქართველოს ისტორიაში.

წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ვერ პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ თანასწორობის უფლების მოთხოვნებს.

საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეჯიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1282), რომლის დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ მარიხუანის მოხმარება არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებას. მარიხუანის მოხმარებით ზიანი შეიძლება მისდგომოდა მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას, რომელიც თავადვე იქნებოდა პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე. ამასთან, მარიხუანის მოხმარება არ ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს ადამიანის ჯანმრთელობას. მოსარჩელეთა აზრით, ისეთი ქმედების აკრძალვას, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისკენ იყო მიმართული და არ იწვევდა საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, არ გააჩნდა ღირებული საჯარო ინტერესი. მათი პოზიციით, მარიხუანის მომხმარებლის დასჯა მხოლოდ მორალისტური და პატერნალისტური არგუმენტებით ეწინააღმდეგებოდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნები იყო მთლიანი მოსახლეობისა და ცალკეული ინდივიდების (მარიხუანის მომხმარებლის), აგრეთვე - საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, მარიხუანის მოხმარება საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის და აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის დაცვა მარიხუანის მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებისგან. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ მარიხუანის მოხმარებამ შესაძლოა გაზარდოს სხვა სამართალდარღვევების ჩადენის რისკი. ამასთან, მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ მარიხუანის მოხმარება ასრულებს ერთგვარი კარიბჭის როლს სხვა, უფრო მძიმე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გართობისა და განტვირთვის მიზნით მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ თანაბომიერების პრინციპის შესაბამისად შეაფასა სადავო ნორმიდან გამომდინარე რეგულირების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია სათანადო ინფორმაცია, სარწმუნო კვლევები, რომლებიც დამატებულად მიუთითებდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობაზე მარიხუანის მოხმარებასა და სხვა სამართალდარღვევათა ზრდას შორის. ვერ დადასტურდა, რომ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ან აბსტინენციის მდგომარეობაში ყოფნა ქმნიდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებულ საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა არ ემსახურებოდა სხვა სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციას. ამასთან, საქმეზე არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მარიხუანა, თავისი ბიოლოგიური თუ ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, იწვევს სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმიდან მომდინარე რეგულირება არ წარმოადგენდა სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციისთვის გამოსადეგ საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარება გარკვეული სახის ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, რის გამოც, დასახელებული ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება წარმოადგენს, ერთი მხრივ, მისი მომხმარებლის, ხოლო, მეორე მხრივ, მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანის მოხმარება არ აყენებს სერიოზულ ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს, მოცემულ შემთხვევაში, არ წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება, ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადების გზით დაიცვას პირი საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისგან. სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა ვერ აყალიბებდა სამართლიან ბალანსს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და მისი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესს შორის.

საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ მარიხუანის ყველა მომხმარებლის ქმედება, ერთად აღებული, უთუოდ ხელს უწყობდა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვას და, შესაბამისად, ზრდიდა რისკებს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური ფაქტის მიმართ გამოყენებული რეაგირების ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოხმარების ამ ერთ კონკრეტულ ფაქტთან უშუალოდ დაკავშირებულ საფრთხეს და არა იმ საფრთხეებს, რომლებიც წარმოიშობა ერთად აღებული ყველა მომხმარებლის ქმედებიდან. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მარიხუანის მოხმარება, სხვა დასჯადი ქმედებებისგან განსხვავებით, არ წარმოშობდა მისი გასაღების ჰიპოთეტურ რისკსაც კი და, შესაბამისად, არ არსებობდა ამ გზით სხვა პირთა ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების სრული და ბლანკეტური აკრძალვა არ იყო აუცილებელი სხვა პირთა უფლებების ან/და საჯარო წესრიგის დასაცავად და, შესაბამისად, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მიუთითა იმ შესაძლო შემთხვევებსა და გარემოებებზე, როდესაც მარიხუანის მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის. სასამართლომ მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციურად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა №1282 კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მითითებული გარემოებების არარსებობისას ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება - მარიხუანის მოხმარებისთვის.

საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №809) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ (მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპი) და მე-8 პუნქტებთან (თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება) მიმართებით და ამავე კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა/ამოღების შედეგად მოპოვებული ობიექტის პირველადი გამოკვლევის უფლება ჰქონდა ბრალდების მხარეს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის პროცესში საკუთარი პოზიციის გამამყარებელი მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ამასთან, სადავო ნორმა ბრალდებულს აიძულებდა, ბრალდების მხარისათვის გადაეცა მისი შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულებები, რის გამოც ირღვეოდა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპი, აგრეთვე თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციური უფლება.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, სადავო ნორმა ემსახურებოდა სისხლის სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებების ავთენტურობისა და სანდოობის უზრუნველყოფას, ხელს უწყობდა საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ეფექტური და ყოველმხრივი გამოძიების წარმოებას და მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებისა და ხელყოფისაგან დაცვას. ამასთანავე, დაცვის მხარეს შეეძლო, პირველადი გამოკვლევის შემდგომ თავადაც გამოეკვლია ამოღებული მტკიცებულება, შესაბამისად სადავო ნორმა აკმაყოფილებდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მტკიცებულების გამოკვლევის საკითხთან მიმართებით რომელიმე მხარეს დროში გარკვეული უპირატესობა გააჩნია, არ გამოიწვევდა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, თუ მოგვიანებით სისხლის სამართლის პროცესის გონივრულ ეტაპზე მეორე მხარესაც ექნებოდა ამგვარი შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევის ფარგლებში შეეძლო, ყოველმხრივ გამოეკვლია დაცვის მხარის შუამდგომლობით ამოღებული ობიექტი, ჩაეტარებინა მასზე შესაბამისი ექსპერტიზა და სხვა საჭირო მოქმედებები. ამავე დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ანალიზიდან გამომდინარე, სადავო ნორმის პირობებში შესაძლებელი იყო ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევისათვის გადაცემული ობიექტის გამოკვლევა დროში გაეჭიანურებინა, არაგონივრულად დიდი ხნით შეეფერხებინა მისი დაცვის მხარისათვის გადაცემა ან საერთოდაც არ გადაეცა იგი. ამგვარ ვითარებაში დაცვის მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოსამართლის მონაწილეობის ან სხვა რაიმე საპროცესო მექანიზმის გამოყენებით ზეგავლენა მოეხდინა ბრალდების მხარეზე და მიეღო მისი შუამდგომლობით ამოღებული ობიექტი. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ზოგიერთი ობიექტი შესაძლოა გამოსადეგი იყოს მხოლოდ ერთგვარადი ექსპერტიზისათვის (გამოლევადი, ექვემდებარება განადგურებას და ა.შ.). შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც პირველად გამოკვლევას ატარებს ბრალდების მხარე და მას შესაძლებ-

ლობა აქვს, მათ შორის, ობიექტი გამოიკვლიოს ექსპერტიზის მეშვეობით, დაცვის მხარეს ობიექტურად ერთმევა საკუთარი შუამდგომლობით მოპოვებული ობიექტის გამოკვლევის, მისგან ინფორმაციის მიღებისა და მისი მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში დაცვის მხარე სრულად ხდება დამოკიდებული მისი მოწინააღმდეგის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებზე, ბრალდების მხარე კი ყოველ ჯერზე, პრივილეგირებულად ახორციელებს მოპოვებული ობიექტის პირველად გამოკვლევას.

ხსენებული გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპის შემზღვევლად დაინახა, რადგან იგი არ ითვალისწინებდა რაიმე საპროცესო მექანიზმს, რომელიც დაიცავდა ბრალდებულს ბრალდების მხარის მხრიდან მტკიცებულების არგადაცემისაგან და გადაცემის გაჭიანურებისაგან. ამასთან, ნორმა აჩენდა რისკს, რომ ერთჯერადი ექსპერტიზისათვის ვარგისი ობიექტის შესწავლის შესაძლებლობა მიეცემოდა მხოლოდ ბრალდების მხარეს, ამ ობიექტის დაცვის მხარის მიერ სათანადოდ გამოკვლევის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, სადავო ნორმა ემსახურებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორებიცაა სისხლის სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებების ავთენტურობისა და სანდოობის უზრუნველყოფა, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ეფექტური და ყოველმხრივი გამოძიების წარმოება და მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებისა და ხელყოფისაგან დაცვა. აღნიშნულის მიუხედავად, კანონმდებელს შეეძლო, დაედგინა სხვა, უფრო ნაკლებად მზღვევლი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დაცული იქნებოდა მხარეებს შორის გონივრული ბალანსი და ლეგიტიმური მიზნები ისეთივე ეფექტურობით იქნებოდა მიღწეული. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის უფლების ნაკლებად მზღვევლი მოწესრიგება იქნებოდა საკანონმდებლო რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა დროულად მიღებას, მის მიერ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას ბრალდების მხარისაგან პირველადი გამოკვლევის ფარგლებში არსებული ობიექტის გამოთხოვის შესახებ. ამასთან, განადგურებად, გამოლევად მტკიცებულებებთან მიმართებით შეთანხმებული, ერთობლივი გამოკვლევის შესაძლებლობით ან სხვა ფორმით უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა სათანადოდ გამოკვლევის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არღვევდა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, სადავო ნორმა განსაზღვრავდა დაცვის მხარის მიერ ნების თავისუფალი გამოხატვის პირობებში ამა თუ იმ ობიექტის ამოღების შესახებ შუამდგომლობის დაყენების სამართლებრივ შედეგს, ხოლო თვითინკრიმინაციის დაცვის პრივილეგია კრძალავს პირის ნებაზე ზემოქმედებას, რაიმე ფორმით ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ. სადავო ნორმა ბრალდებულის ნებაზე რაიმე ფორმით ზემოქმედების განხორციელებას არ ითვალისწინებდა და დაცვის მხარე საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისა და კონკრეტული ობიექტის ამოღების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავდა საკუთარი გადაწყვეტილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტით გარანტირებულ თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებას.

მოსარჩელე ასევე ითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით საქმე შეწყვიტა, რადგან სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის სადავო შინაარსი უკვე არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

1.3.3. მეორე კოლეგია

საქართველოს მოქალაქეები - გუნა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუნა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №863). დასახელებულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმა ადგენდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, კერძოდ, აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული პირი, რომლის ასაკი 70 წელს აღემატებოდა.

მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ 70 წელს გადაცილებულ ქმედუნარიან, ჯანსაღი ფსიქიკისა და გონებრივი მონაცემების მქონე აკადემიკოსებს სადავო ნორმა, მხოლოდ ასაკის ნიშნით ართმევდა აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების უფლებას. მოსარჩელეების აზრით, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, როგორც 70 წელს გადაცილებული, ისე 70 წლამდე აკადემიკოსები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, რომელთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნდა რაიმე ობიექტური გამართლება. შესაბამისად, ის იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მოპასუხე მხარის პოზიციით, ზოგადად, ასაკობრივი ბარიერის დაწესება არ ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის მიზანს წარმოადგენდა აკადემიის საქმიანობის ეფექტურობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხოლო 70 წელს მიღწეული, თუნდაც სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, შესაძლოა, ვერ გამკლავებოდა ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის სპეციფიკას და მისთვის აუცილებელ ფიზიკურ დატვირთვას.

იმავდროულად, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, ვინაიდან აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ აკადემიკოსის სტატუსის მქონე პირის არჩევა, ხოლო აკადემიკოსების რაოდენობა კანონმდებლობით იყო შეზღუდული და, ფაქტობრივად, აკადემიკოსთა უმრავლესობის ასაკი აღემატებოდა დადგენილ 70 წელს, შესაძლოა, პრაქტიკულად ვეღარ მომხდარიყო შესაბამის თანამდებობაზე აკადემიკოსთა არჩევა. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხის მიერ კონსტიტუციური სარჩელის ცნობა არ იწვევს საქმის შეწყვეტას. შესაბამისად, სარჩელის ცნობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 70 წელს მიუღწეველი და 70 წელს გადაცილებული აკადემიკოსები, აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების მიზნები-

სათვის წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა შორისაც სადავო ნორმა ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მოპყრობას მათი ასაკის ნიშნით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით და არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით, შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასებისას გამოიყენა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, შესაძლებელია, ამა თუ იმ დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისათვის დასაშვები იყოს თანამშრომელთათვის გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება. ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად, აუცილებელია, გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა იყოს ლოგიკურ და რაციონალურ კავშირში დასახელებულ მიზანთან. ის გარემოება, რომ გარკვეული უნარების დაქვეითება ასაკის მატების თანმდევი შედეგია, ვერ გამოდგება ნებისმიერი ბლანკეტური ასაკობრივი შეზღუდვის გამართლების თვითკმარ საფუძვლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასაკთან დაკავშირებული შეზღუდვის რაციონალურობის შეფასებისთვის დაადგინა ორსაფეხურიანი ტესტი. კერძოდ, ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების გამართლებისთვის აუცილებელია კანონმდებელმა წარმოაჩინოს, რომ კონკრეტული საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, განსაზღვრული ასაკის პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებას. უნდა დასაბუთდეს, რომ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევა, როგორც წესი, შემთხვევათა უმრავლესობაში იწვევს ადამიანის იმგვარი უნარების დაქვეითებას, შესუსტებას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად. იმავდროულად, ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება არარაციონალური იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ პირის თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გონივრულ ფარგლებში, შესაძლებელია მათი უნარების ინდივიდუალური შეფასების შედეგად.

საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა სადავო ნორმებით გათვალისწინებული თანამდებობის პირების ფუნქცია-მოვალეობები და აღნიშნა, რომ აკადემიის ამოცანების და თითოეული აკადემიკოსის უფლებამოსილების განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის განსაკუთრებულ ფიზიკურ აქტივობასთან. ამასთან, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელება მოითხოვდა ისეთ განსაკუთრებულ ენერჯიას, რომელიც, როგორც წესი, არ გააჩნია 70 წელს გადაცილებულ ადამიანს. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არაფერი მიანიშნებდა აკადემიკოსის მიერ აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ფუნქციების განხორციელების 70 წლის ასაკის მიღწევის გამო შეფერხებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აკადემიკოსთა მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა არის 70 წელზე ნაკლები ასაკის, ხოლო მათი რაოდენობა დროის გასვლასთან ერთად უფრო მცირდება. შესაბამისად, შესაძლოა, ახლო მომავალში სადავო ნორმის მოქმედებამ სრულიად გააქროს დასახელებულ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა წრე. ამის გათვალისწინებით, სადავო ნორმა არათუ ემსახურება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეფექტურ ფუნქციონირებას, არამედ პირიქით, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ადმინისტრაციულ თანამდებობაზე აკადემიკოსების არჩევა ძალიან გაართულოს და შეუძლებელიც კი გახადოს.

დასახელებულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

საქართველოს მოქალაქე - ავთანდილ ქათამაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიაში მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე - ავთანდილ ქათამაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №743). აღნიშნულ საქმეზე გასაჩივრებული იყო საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით გათვალისწინებული რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების მიმღებ პირთა წრეს. სადავო ნორმა დახმარების დანიშვნის საფუძველს ქმნიდა მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში.²⁶

მოსარჩელის განმარტებით, სადავო რეგულაცია ადგენდა არსებითად თანასწორ პირთა მიმართ უთანასწორო მოპყრობას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას. სადავო ნორმით არ იყო გათვალისწინებული დახმარება იმ პირთათვის, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ ისეთ საწარმოში, რომელშიც ხელახალი რეგისტრაციის შედეგად შემცირდა სახელმწიფოს წილები. მოსარჩელის მტკიცებით, პრობლემას წარმოშობდა სადავო ნორმის ის დებულება, რომელიც აწესებდა დიფერენცირებას შესაძარებელ პირთა წრეებს შორის საწარმოს ლიკვიდაციისას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრული პროცენტული ოდენობის ნიშნით.

საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მოსარჩელე მხარემ დააბუსტა სასარჩელო მოთხოვნა. მისი განმარტებით, იგი ითხოვდა არა მთლიანად სადავო ნორმის, არამედ მისი კონკრეტული სიტყვების - „სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ არაკონსტიტუციურად ცნობას, რაც ავტომატურად გამოიწვევდა სადავო წესით გათვალისწინებული დახმარების დანიშვნას სახელმწიფოს 100%-ზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებული პირებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირება იმის მიხედვით, თუ რომელ საწარმოში იყო ეს პირი დასაქმებული და როგორი იყო საწარმოს ლიკვიდაციისას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის ხარისხი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის ოდენობა, მოცემულ ურთიერთობასთან მიმართებით, ვერ განაპირობებდა შესაძარებელი ჯგუფების არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას, ვინაიდან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისა და პროფესიული დაავადების მიღების შემთხვევაში შესაძარებელ ჯგუფებს დახმარების მიღების თანაბარი ინტერესი და საჭიროება გააჩნდათ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, დაბუსტებული სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, მომხდარიყო სადავო ნორმის მოდიფიცირება და მისი შინაარსის იმგვარად გაფართოება, რომ დახმარების მიმღებ სუბიექტთა წრეში დამატებით მოქცეულიყვნენ მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებიც. მაშასადამე, მოსარჩელე ითხოვდა

²⁶ დავის საგანი სრულად: საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1-ით განსაზღვრული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

და სადავო ნორმის არა სრული, არამედ მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც გამორიცხავდა მისთვის დახმარების დანიშვნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა ადგენდა, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებული პირებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის საფუძველს. ნორმა საერთოდ არ მიუთითებდა რომელიმე სხვა სუბიექტის, მათ შორის, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ ამ დახმარების დანიშვნის აკრძალვაზე. მაშასადამე, სადავო ნორმის არც ერთი ნაწილის გაუქმება მოსარჩელისათვის დახმარების დანიშვნას არ გამოიწვევდა. მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებისაკენ, არამედ ნორმიდან კონკრეტული სიტყვების ამოღების გზით, ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმის შინაარსის მოდიფიცირებისა და მისი სუბიექტთა წრის გაფართოების უფლებამოსილება სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიურ კანონმდებელს, უფლება აქვს ძალადაკარგულად ცნოს არაკონსტიტუციური ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესი. ახალი ნორმატიული წესების დადგენით, იგი გასცდება მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას და შეიჭრება ხელისუფლების სხვა შტოების კომპეტენციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, სადავო რეგულაცია არ შეიცავდა მოსარჩელის მიმართ დახმარების დანიშვნის აკრძალვას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, ახალი ნორმატიული წესის შექმნის გზით დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა და მიენიჭებინა მისთვის სახელმწიფოსგან დახმარების მიღების უფლება. შესაბამისად, №743 კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

2018 წლის 11 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №663). დასახელებულ საქმეში სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმად, პირი ვერ დარეგისტრირდებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ იგი უკანონოდ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმებოდა ამ ფაქტს.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ პირები რომლებიც უნებართვოდ ცხოვრობენ სახელმწიფო საკუთრებაში და სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის საჭიროება წარმოეშვათ, სადავო ნორმის ამოქმედების (2013 წლის 1 ივნისი) შემდეგ, კარგავდნენ სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც სადავო ნორმა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას არ ართმევდა სახელმწიფო საკუთრებაში უნებართვოდ მცხოვრებ იმ პირებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირდნენ სადავო ნორმის ამოქმედებამდე. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ხსენებული პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა თანასწორობის უფლებას არღვევდა. მოსარჩელის არგუმენტაციით, სადავო ნორმა პირს ასევე აიძულებდა არჩევანის გაკეთებას მის საცხოვრებელ სახლსა და

სოციალური დახმარების მიღების უფლებას შორის, რითაც ხდებოდა პირის მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ღირსების უფლებასაც.

მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ემსახურებოდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს - სახელმწიფო საკუთრების დაცვას. კერძოდ, სადავო ნორმა უზრუნველყოფდა მისი ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო ქონების უნებართვოდ დაკავებისაგან თავის შეკავებას. განსხვავებული მოპყრობის დასასაბუთებლად, საქართველოს მთავრობა განმარტავდა, რომ მონაცემთა ბაზაში უკვე დარეგისტრირებული პირების რეგისტრაციიდან მოხსნა ამ უკანასკნელთა რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა. ამასთანავე, მოპასუხის პოზიციით, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაცია არ იწვევდა პირის უფლებების გადამეტებულ შეზღუდვას და სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, განმარტა, რომ სოციალური დახმარებით სარგებლობის მიზნებისათვის, თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენდა ყველა ის პირი, რომლებიც უნებართვოდ ცხოვრობდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოეშვათ აღნიშნულ პირებს სოციალური დახმარების მიღების საჭიროება. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, ერთნაირ პირობებში მყოფი (სახელმწიფო საკუთრებაში უნებართვოდ მცხოვრები) პირების ნაწილს ჰქონდა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობა, ნაწილს კი - არა, რაც განაპირობებდა არსებითად თანასწორ სუბიექტთა მიმართ არათანასწორ მოპყრობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმით დადგენილი უთანასწორო მოპყრობა ინტენსიური ხასიათის იყო, ვინაიდან გასაჩივრებული რეგულაცია სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას სრულად უსპობდა სახელმწიფო საკუთრებაში უკანონოდ მცხოვრებ პირთა მხოლოდ ერთ ნაწილს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით დადგენილი უთანასწორო მოპყრობა შეაფასა ე.წ. „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით.

სახელმწიფო ქონების უკანონოდ დაკავების პრევენციასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეული ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონოდა ბაზაში რეგისტრაციის უფლების შეზღუდვის მხოლოდ სადავო ნორმის მიღების შემდგომ განხორციელებულ სახელმწიფო საკუთრების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებას, თუმცა სადავო ნორმით სოციალური დახმარების მიღების შეზღუდვა უკავშირდებოდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის დროს და არა საკუთრებაში უნებართვოდ ცხოვრების დაწყების პერიოდს. შესაბამისად, სადავო ნორმა ვერ უზრუნველყოფდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მსგავს პირთა ჯგუფისთვის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაზე უარის თქმა, სოციალური დახმარების მიღების კუთხით, ისეთივე მტკივნეული იყო, როგორც სოციალურად დაუცველთა ბაზაში უკვე რეგისტრირებული პირისთვის რეგისტრაციის გაუქმება. შესაბამისად, გაუგებარი იყო, თუ რატომ გამოყო მთავრობამ სოციალურ ბაზაში რეგისტრაციისგან მოსარჩელეთა კლასი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ დიფერენცირებას არ ჰქონდა გონივრული გამართლება და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, მოახდინოს საკუთარი ქონების ხელყოფის აღკვეთა, რასაც არც მოსარჩელე მხარე არ ხდოდა სადავოდ. თუმცა ქონების ხელყოფის აღსაკვეთად გამოყენებული ღო-

ნისძიების შერჩევას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები არ არის უსაზღვრო. კერძოდ, შერჩეული ღონისძიება არ უნდა არღვევდეს ადამიანების მიმართ არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის პრინციპს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსების უფლებასთან მიმართებით შეაფასა იძულების ღონისძიების სახით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობის ჩამორთმევის კონსტიტუციურობა და მიიჩნია, რომ ამგვარი ღონისძიების გამოყენებით, სახელმწიფო საკუთარი ქონების დასაცავად, მისი ხელყოფის აღსაკვეთად, იყენებს ადამიანის მძიმე სოციალურ მდგომარეობას. ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნეს მიზნის მიღწევის საშუალებად, შესაბამისად, იძულების ღონისძიების სახით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობის ჩამორთმევა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №700), სადაც სასამართლომ შეაფასა არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების კანონით განსაზღვრული ინსტიტუტისა და წესის კონსტიტუციურობა საკუთრების და თავისუფალი მეწარმეობის უფლებებთან.²⁷ კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192¹ მუხლი ქმნიდა არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების საკანონმდებლო საფუძველს, ხოლო „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების გასაჩივრებული ნორმები ადგენდა, რომ მარკირებას ექვემდებარებოდა არაალკოჰოლური სასმელი, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები და აწესრიგებდა მარკირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმები მათ ავალდებულებდა საწარმოში სახელმწიფოს მიერ შერჩეული მარკირების განმახორციელებელი პირის დაშვებას, რომელიც საწარმოო ხაზებზე დააყენებდა მარკირების აპარატებს. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მარკირების აპარატები მუშაობდა ხარვეზულად, იწვევდა საწარმოო პროცესის შეფერხებას და სათანადოდ ვერ აღრიცხავდა წარმოებული პროდუქციის მოცულობას. ამასთან, მარკირების ხარჯების ანაზღაურება მეწარმე სუბიექტებს ეკისრებოდა, რაც მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვებოდა ინდუსტრიას. მოსარჩელე მხარე ასევე ეჭვქვეშ აყენებდა სადავო ნორმების ფორმალურ შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. კერძოდ, მოსარჩელეთა პოზიციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი განუსაზღვრელ დისკრეციულ უფლებამოსილებას აძლევდა ფინანსთა მინისტრს.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ემსახურებოდა ღირებულ ლეგიტიმურ მიზნებს, კერძოდ, გადასახადების ჯეროვან ადმინისტრირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. მოპასუხეთა აზრით, სადავო ნორმები სრულად პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, ერთმანეთისაგან გამიჯნა საკუთრებისა და

²⁷ დავის საგანი სრულად: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192¹ მუხლის და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 78¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (საკუთრების უფლება) და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით (თავისუფალი მეწარმეობის უფლება).

მეწარმეობის თავისუფლებით დაცული კონსტიტუციურ უფლებათა სფეროები. სავალდებულო მარკირების დადგენით პროდუქციის გასხვისებაზე ფინანსური ტვირთის კონსტიტუციურობა სასამართლომ შეაფასა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებასთან მიმართებით, ხოლო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო საწარმოო პროცესის შეფერხებასთან, განიხილა მეწარმეობის თავისუფლების კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიზანს არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის, ტექნიკური საკითხების კანონით მოწესრიგება. სასამართლოს განმარტებით, პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირებამ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა გამოიწვიოს იმ შემთხვევებში, როდესაც მას საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ან/და, როდესაც დადგინდება, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით, საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მარკირების პროცესი არ წარმოადგენს საკითხს, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ მარკირების პროცესის მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის გადაცემა არ არღვევდა კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

მატერიალური თვალსაზრისით კონსტიტუციურ უფლებებთან სადავო ნორმის შესაბამისობა, საკონსტიტუციო სასამართლომ თანაბომიერების პრინციპის საფუძველზე შეაფასა. მან გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიუთითა, რომ გადასახადების ჯეროვანი ადმინისტრირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც დასაშვებია საკუთრების უფლების თანაბომიერი შეზღუდვა.

სადავო ნორმებით დადგენილი ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელსაც მოსარჩელე იშველიებდა ინსტიტუტის ხარვეზული ფუნქციონირების დასადასტურებლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ დასკვნის შედეგების გაზიარების პირობებშიც კი, პროდუქცია აღირიცხებოდა 99.48% სიზუსტით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ დასკვნიდან არ ირკვეოდა, რამდენად იყო აღნიშნული ცვლილება გამოწვეული მარკირების აპარატის გაუმართაობით. ამავე დროს, სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკაში გამოვლენილი მარკირების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე იმ შემთხვევაში მიუთითებს, თუ დადასტურდება, რომ მარკირების აპარატის ამ ფორმით ფუნქციონირება კანონის მოთხოვნა ან/და ტექნიკურად შეუძლებელია კანონის მოთხოვნების სათანადოდ იმპლემენტაცია და პროდუქციის სრულყოფილად აღრიცხვა. ხსენებულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე არ გამოვლენილა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული მარკირების ინსტიტუტი გამოდგებოდა პროდუქციის აღრიცხვისათვის და წარმოადგენდა გადასახადების ჯეროვანი ადმინისტრირების მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა მოსარჩელე მხარის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის ალტერნატიული აღრიცხვის საშუალებები, კერძოდ, ვიდეო კონტროლის განხორციელება და თავად მოსარჩელეთა საწარმოო დანადგარებით პროდუქციის აღრიცხვა. სასამართლოს განმარტებით, წარმოების ხაზებზე მოძრავი პროდუქციის რაოდენობიდან გამომდინარე, არარეალური იყო ვიდეო კონტროლის საშუალებით მისი იმავე ეფექტურობით აღრიცხვა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმების უმთავრეს მიზანს მეწარმე სუბიექტებზე ეფექტური გარე კონტროლი წარმოადგენდა, რაც სრულად იკარგებოდა მოსარჩელეთა საწარმოო დანადგარების გამოყენების შემთხვევაში.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა ით-

ვალისწინებდა ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელსაც მარკირების აპარატით ავტომატურ რეჟიმში მიეწოდებოდა ინფორმაცია ბაზაში რეგისტრირებულ სხვადასხვა მენარმე სუბიექტთა მიერ წარმოებული პროდუქტის მონაცემების თაობაზე. იმავედროულად, შესაძლებელი უნდა იყოს მარკირებულ პროდუქტზე დატანილი მატრიცის წაკითხვა და მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება. მოსარჩელე მხარეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც ცხადი გახდებოდა, რომ ტექნიკურად, ნაკლები ფინანსური დანახარტებით შესაძლებელი იქნებოდა წარმოების ხაზების იმგვარად მოდიფიცირება, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ერთიანი სააღრიცხვო სისტემის ფუნქციონირება. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმებით შექმნილი მარკირების ინსტიტუტი წარმოადგენდა საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურად წარმართვის გამოსაძევ და აუცილებელ საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მარკირების ნომინალური ღირებულების გადახდის ტვირთის მოსარჩელეთათვის დაკისრებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს გადასახადის გადამხდელთა მიერ შესასრულებელ იმგვარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია გადასახადების ადმინისტრირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. თითოეული ამგვარი მოქმედების განხორციელება კი, თითქმის ყოველთვის, მოითხოვს გარკვეულ ფინანსურ დანახარტს. ბუნებრივია, ამ ხარტების გაღება უნევს მენარმე სუბიექტს და ეს გამართლებულია მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მარკირების ნომინალური ღირებულება არის გადასახადების ადმინისტრირებისთვის მოსარჩელის მიერ გაწეული ხარტი იმ განსხვავებით, რომ მენარმე სუბიექტი უშუალოდ თვითონ არ წარმართავს მარკირების პროცესს. მხოლოდ მარკირების საერთო ხარტის სოლიდურობაზე მითითება არ გამოდგება ფინანსური ტვირთის სიმძიმის გამო სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის სამტკიცებელად. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რატომ ხდის მსგავსი ტვირთი პროდუქციის წარმოებას განუზომლად რთულს ან/და მნიშვნელოვნად აზიანებს ინდუსტრიას. მოსარჩელემ უნდა წარმოაჩინოს, რომ სადავო ნორმები არის არა მორიგი რეგულაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, უსიამოვნოა მენარმისათვის, არამედ სახეზეა უფლებაში იმდენად ინტენსიური ჩარევა, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ ბაზართან. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში ამგვარი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სასამართლოს შეფასებით, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა, რომ მარკირების არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად აფერხებს წარმოებას, რაც სცილდება ორდინალურ საწარმოო პროცესს და მნიშვნელოვნად აზიანებს მას. წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები შეესაბამებოდა საკუთრებისა და თავისუფალი მენარმოების საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს.

საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასტელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასტელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“ (სარჩელის რეგისტრაციის №665/683). აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსტავრდებულთა სრული შემოწმების მარეგულირებელ ნორმებს. სადავო ნორმების თანახმად, სრული შემოწმება, მათ შორის, მოიცავდა ბრალდებულისა და

მსჯავრდებულის ვალდებულებას, მთლიანად გაეხადა ან გაეშიშვლებინა სხეულის შესაბამისი ნაწილები. ასეთ პროცედურას შესაბამისი პირები ექვემდებარებოდნენ პენიტენციური დაწესებულებიდან გაგზავნისას და მიღებისას, სამართლო ან საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში განთავსებისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მითითებისას.

მოსარჩელის მოსაზრებით, პირის გაშიშვლება, უცხო ადამიანის თანდასწრებით, იწვევდა ადამიანის დამცირებას და შეურაცხყოფას. შესაბამისად, მოპყრობის ასეთი ფორმის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ყოფილიყო დასაშვები. მოსარჩელე განმარტავდა, რომ აკრძალულ ნივთებს სკანერიც აღმოაჩენდა და, ამდენად, ადამიანის გაშიშვლება ზედმეტად მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მითითებით, სრული შემოწმების ჩატარების საფუძვლები ბლანკეტური იყო და გაშიშვლება, როგორც შემოწმების ფორმა, გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებში როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა, მაგალითად დაბალი რისკის პატიმრების მიმართ. მოსარჩელისთვის აგრეთვე პრობლემური იყო დირექტორის გადაწყვეტილებით პირის შემოწმებაც, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა დირექტორის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების პრევენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ ადამიანის უფლებას, დაცული იყოს არაჰუმანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან. აგრეთვე, გასაჩივრებული ნორმები არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მოსარჩელის თავისუფალი განვითარების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი) და პირადი ცხოვრების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და განაცხადა, რომ სრული შემოწმება ემსახურებოდა პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის ან/და სამართალდარღვევის თავიდან აცილების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნებს. მოპასუხის განმარტებით, სკანერი ვერ ჩააწვავდა სრული შემოწმების ღონისძიებას, რადგან არსებობს ცალკეული ნივთები/ნივთიერებები, რომელთა აღმოჩენაც სკანერის აპარატით შეუძლებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, შემოწმების მიზნით პირის გაშიშვლება, თავისთავად, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აკრძალული მოპყრობის ფორმას, თუმცა ასეთი ღონისძიება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და უნდა განხორციელდეს იმგვარი წესით, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები წარმოადგენდა მოპასუხის მიერ დასახელებული მიზნების მისაღწევ, გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. საქმის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ შეუძლებელია, სკანერის მეშვეობით ყველა აკრძალული ნივთის (მათ შორის, ძუის ან ქალაღდის), წარწერისა თუ სხვა ობიექტის აღმოჩენა, რომელთა შეტანა, დამზადება, ბრუნვა საფრთხეს უქმნის პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგს და სხვათა ჯანმრთელობას.

ამის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეტანის/გატანის და დამზადების საფრთხე ვერ გამოირიცხებოდა ვერც ერთი კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ. ნებისმიერი კატეგორიის ბრალდებული/მსჯავრდებული, ნებით თუ ნების გარეშე, შეიძლება გახდეს დაწესებულებაში ამგვარი ობიექტების ბრუნვის ხელშემწყობი. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სრული შემოწმების ჩატარების აუცილებლობა ყველა მსჯავრდებულისა და ბრალდებულის მიმართ არსებობდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გარესამყაროსთან კონტაქტის შემთხვევებში და დაწესებულებაში გადაადგილებისას (სამართლო საკანში მოთავსება) პირის გაშიშვლების დაშვება პასუხობდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო №200 ბრძანება არ განსაზღვრავდა დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ პირის სრული შემონმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელო კრიტერიუმებს, რაც ქმნიდა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევის რისკებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, №200 ბრძანებით განსაზღვრული დირექტორის და მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით პირის გაშიშვლების უფლებამოსილება სასამართლომ კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ ცნო. ამავე დროს, სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია №116 ბრძანებაში არსებული სრული შემონმების პრაქტიკულად იგივე საფუძველი იმ მოტივით, რომ შესაბამისი ბრძანება შეიცავდა უფლების დაცვის საკმარის გარანტიებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა პირადი ცხოვრების უფლების და მისი შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების თაობაზე. პირველ რიგში, აღინიშნა, რომ რუტინული შემონმებები კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებით არის დაცული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის სასამართლო დათქმა, ყოველთვის აუცილებელი არ არის ამ უფლებაში ჩარევის დროს. საკონსტიტუციო სასამართლომ შეფასებით, პირადი ცხოვრების უფლების სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდვის მოთხოვნა უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კონტროლს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა აწესრიგებს ისეთ კონკრეტულ სფეროებს, სადაც ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი საფუძველი, რელევანტურობას კარგავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ფორმალური სასამართლო კონტროლი. განსახილველ საქმეზე დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადავო ნორმებით განსაზღვრულ შემთხვევებში, არსებობდა პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის მუდმივი საჭიროება. შესაბამისად, პირის ყოველ ჯერზე შემონმებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა არ იდგა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, ის გარემოება რომ ცალკეულ ურთიერთობებთან მიმართებით არ გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ფორმალური კრიტერიუმი - სასამართლომ გადაწყვეტილების დათქმა, არ ნიშნავს, რომ ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები არ დაექვემდებარება მატერიალურ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებით შემონმებას. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჭიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 27 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჭიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N1216). დასახელებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმა გამორიცხავდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისკენ მიმართული, კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების გავრცელებას. სადავო ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) რელიგიური კონფესიებისთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ძეგლის მოვლა-პატრონობის პირობების დარღვევისათვის ან/და მესაკუთრის თანხმობის გარეშე ჩაეტარებინა ძეგლზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები.

მოსარჩევეები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებას, რადგან სახელმწიფო არაჭეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. კერძოდ, რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სახელმწიფო არ ავრცელებს ობიექტების დაცვისათვის აუცილებელ კონტროლის მექანიზმებს მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ, რაც ვერ უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატურ დაცვას. ამასთანავე, სადავო რეგულირება დისკრიმინაციული იყო, რადგან აღნიშნული კონტროლის მექანიზმებისგან ათავისუფლებდა მხოლოდ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ძეგლებს, ხოლო ყველა სხვა მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ მოქმედებდა განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.

მოპასუხემ განმარტა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების რელიგიურ კონფესიებზე გავრცელება მნიშვნელოვნად შეზღუდავდა მათ მიერ რელიგიური დანიშნულების ობიექტების აღმსარებლობისათვის გამოყენებას. ამდენად, მოპასუხე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა მიზნად ისახავდა აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უზრუნველყოფილ იქნეს კულტურული გარემოს არსებობა, რაც ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. სახელმწიფო ვალდებულია, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სხვადასხვა გარემო პირობებიდან მომდინარე საფრთხის პრევენციას. ეს უნდა გამოიხატოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში. ამასთანავე, დაზიანების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, მოახდინოს ძეგლის რესტავრაცია, რაც მიმართული უნდა იყოს ძეგლის თავდაპირველი იერსახის აღდგენისკენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება შეეხებოდა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. კანონმდებლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი, რომელსაც ამავე კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან. სასამართლოს განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური უფლების უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს მატერიალური სახის ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომის შესაძლებლობა, რასაც თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, ეფექტურად დაიცვას აღნიშნული ობიექტები. კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც ობიექტს ენიჭება კულტურული ძეგლის სტატუსი, არ არსებობს საფუძველი, რომ კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნება არ მოექცეს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში. შესაბამისად,

ობიექტები, რომლებზეც ვრცელდება სადავო რეგულირება, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობა, ადამიანის რელიგიის თავისუფლების დაცვისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა და, შესაბამისად, ამ მიზნით, დასაშვებია იყო საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაწესებული კონტროლის მექანიზმების გაუვრცელებლობა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე მათ აძლევდა საშუალებას, თავისუფლად ესარგებლათ საკუთარი ქონებით, მათ შორის, დაბრკოლების გარეშე გამოეყენებინათ იგი რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება წარმოადგენდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაძევ საშუალებას.

სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე უარს აცხადებდა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოვლა რელიგიური რიტუალების აღსრულებას არ ზღუდავდა. ამავ დროს, სადავო ნორმა მოქმედებდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში არსებულ კულტურულ ძეგლებზე, განურჩევლად იმისა, გააჩნდათ თუ არა მათ საღვთისმსახურო დანიშნულება. ამდენად, სადავო რეგულირების ბლანკეტური ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება იზღუდებოდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭირო იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, იგი ვერ აკმაყოფილებდა აუცილებლობის მოთხოვნებს და არღვევდა ხსენებულ კონსტიტუციურ უფლებას.

სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება ახდენდა დიფერენცირებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მესაკუთრის სტატუსის ნიშნით. რელიგიურ კონფესიებს არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სხვა მესაკუთრის მიერ ჩადენაც კანონით დადგენილი წესით ისჯებოდა.

სასამართლოს არგუმენტაციით, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში, შესაძლოა, მხედველობაში იქნეს მიღებული პირის მიერ აღნიშნული ქმედების რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე ჩადენის ფაქტი. პირი, რომელიც ქმედებას ჩადის რწმენის კარნახით, შესაძლოა, არ იყოს იმ პირის არსებითად თანასწორი, რომლის ქმედებაც არ არის განპირობებული რწმენის თავისუფლებით. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა, რომ სადავო ნორმა მიმართული იყო უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის მოვლის ვალდებულების მხოლოდ აღმსარებლობის გამო დარღვევის შემთხვევებზე. შესაბამისად, შესადარებელი პირები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს ამ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით და არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით. შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასებისას გამოიყენა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი. დიფერენცირების რაციონალურობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური რიტუალების ჩატარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს მიერ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზოგადი ვალდებულების სრულად გამორიცხვა არა მხოლოდ აუცილებლობის მოთხოვნებს არ პასუხობდა, არამედ ასევე არაგონივრული იყო და ვერ აკმაყოფილებდა რაციონალური დიფერენციაციის ტესტის მოთხოვნებს. ამდენად, სასამართლომ დაადგინა სადავო ნორმების საფუძველზე კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა.

საქართველოს მოქალაქე დავით მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №779). დასახელებულ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმების თანახმად, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და არ საჩივრდებოდა.²⁸

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სადავო ნორმებით დადგენილი აკრძალვა არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მოსარჩელის პოზიციით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დიდი ოდენობით ჯარიმის გამოყენება და ხანგრძლივი ვადით მართვის უფლების შეჩერება უნდა საჩივრდებოდეს როგორც პირველი ინსტანციის, ისე - სააპელაციო სასამართლოში. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დასახელებული სახდელის მინიმალურ ოდენობებთან/ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დავა შესაძლოა დასრულდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ნორმა ბლანკეტურად ვრცელდებოდა ყველა დავაზე და არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

მოპასუხე მხარის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ მოითხოვს ყველა შემთხვევაში საქმის სამი ინსტანციით განხილვის უზრუნველყოფას. მოპასუხის პოზიციით, მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუმცა იგი გამართლებული იყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების და პროცესის ეკონომიურობის პრინციპების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები მართლაც ემსახურებოდა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფის და სასამართლო სისტემის გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოსადმი წვდომის შეზღუდვით მცირდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობა და სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება სასამართლოს განტვირთვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაძეგ საშუალებად ჩაითვადა. ამავდროულად, არ იკვეთებოდა უფლების ნაკლებად მზღუდავი რაიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტურობით უზრუნველყოფდა სასამართლოს განტვირთვისას.

შეზღუდვის პროპორციულობის შეფასებისას სასამართლომ დაპირისპირებულ ინტერესებად დაინახა სასამართლოს სისტემის გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნები და პირის უფლება, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადატვირთულობის პრევენცია პირდაპირ კავშირშია მართლმსაჯულების გამართულ ფუნქციონირებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ყველა შემთხვევაში, თავისთავად ვერ გადაწონის სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის უმნიშვნელოვანეს ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვა პირის უფლებას არღვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

²⁸ დავის საგანი სრულად: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და მე-2 წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და „დ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მას, კონკრეტული დავიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, პირის გასაჩივრების ინტერესს განაპირობებდა სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმე. სასამართლომ, ამ შემთხვევაში, სამართალდარღვევის სიმძიმის განსაზღვრისათვის გამოიყენა სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის სიმკაცრის კრიტერიუმი. სასამართლოს განმარტებით, სამართალდამრღვევად ცნობის შედეგად, ადამიანზე ზემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ მის მიმართ გამოყენებული სანქციის მოცულობით. სანქციისგან დამოუკიდებლად (მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სანქცია საერთოდ არ გამოიყენება) პირის სამართალდამრღვევად ცნობას უკავშირდება მისი გაკიცხვა, რაც ასევე გარკვეული ზემოქმედების ფორმაა. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით პირის გასაჩივრების ინტერესს, განსაზღვრავს არა მხოლოდ პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა, არამედ იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომლის ჩადენასაც ედავებიან მას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არც კონსტიტუციურ სარჩელში და არც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელე მხარეს არ დაუსახელებია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებთან მიმართებითაც მოითხოვდა სადავო ნორმებით განსაზღვრული წესის კონსტიტუციურობის შემოწმებას. შესაბამისად, დავის ფარგლებში შეუძლებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს შეეფასებინა ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმე და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი. აღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, შეფასების მიღმა არ უნდა დარჩენილიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სანქციის სახე თავისთავად სამართალდარღვევის სიმძიმეზე მიუთითებდა და აუცილებლად მოითხოვდა, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების მინიჭებით, მისი კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობის არსებობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახდელის სახით თავისუფლების აღკვეთის (პატიმრობის) გათვალისწინება, როგორც წესი, თავისთავად მიაჩნებოდა სამართალდარღვევის მძიმე ბუნებაზე. შესაბამისად, არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი იმ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომელთათვისაც სახდელის სახით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. სადავო ნორმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში დავის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა, მათ შორის, ისეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც სახდელის სახით, სხვა სანქციებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს მისი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, იმისგან დამოუკიდებლად იყო თუ არა მის მიმართ პატიმრობა გამოყენებული. ამრიგად, სადავო ნორმა, რომელიც გამოირიცხავდა ასეთ შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

კონსტიტუციურ სარჩელში ასევე გასაჩივრებული იყო ნორმა, რომლის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლოში ვერ გასაჩივრდებოდა შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, სანქციის შეცვლის წარმოების ფარგლებში პირის სამართალდამრღვევად ცნობა არ ხდება, მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი უკვე დადგენილია და ამ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება რე-

ალიზდება თავდაპირველი სანქციის შეფარდებისას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ის კონსტიტუციური სტანდარტი, რომელიც მძიმე სამართალდარღვევის ფარგლებში შედარებით მსუბუქი სანქციის გამოყენებისასაც მოითხოვს ორი ინსტანციის სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, არ არის რელევანტური სახდელის შეცვლის წარმოებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში, რომელიც გამორიცხავდა საურავის დარიცხვის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ შეფასებით, ქონებრივი სანქციის არსებობა, თავისთავად, არ მიუთითებს სამართალდარღვევის სიმძიმეზე და საურავის დარიცხვა არ უტოლდება პირისათვის მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არსებობის ერთ-ერთი მიზანია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, გასაჩივრების დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, ფაქტობრივად, სააპელაციო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე უარის თქმას უთანაბრდება. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, პირმა საკმარისი სიცხადით უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან კანონი, განსაკუთრებით, თუ ეს კანონი ზღუდავს მისი ქმედების თავისუფლებას და აკისრებს პასუხისმგებლობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის პირობებში სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას შეეხებოდა საქმე.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, სადავო ნორმების დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, სრულად გაუქმდებოდა სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვა, რასაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანად გადაეტვირთა სააპელაციო სასამართლოები. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2019 წლის 31 მარტამდე.

საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №765). მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი წინადადების, 430-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 431-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი წინადადების და 430-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა სადავო ნორმებით დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც, საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების დასაშვებობის საკითხისა და მისი შინაარსობრივი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ხდებოდა. მისი

მტკიცებით, აუცილებელი იყო აღნიშნული გადაწყვეტილების დასაშვებობის შემოწმება, ისევე როგორც მისი შინაარსობრივი განხილვა მომხდარიყო ზეპირი მოსმენით, რათა მხარეებს მისცემოდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებებისა და პოზიციების წარმოდგენის შესაძლებლობა. მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდიდა იმ ნორმების კონსტიტუციურობას, რომელთა თანახმადაც, საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში, უქმდებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და აღნიშნული საქმის განხილვა ხდებოდა თავიდან. მოსარჩელის პოზიციით, დასახელებული განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არსებობდა ამის საჭიროება, ახლად აღმოჩენილი გარემოების გათვალისწინებით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მხარეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ წარმოედგინათ საქმესთან დაკავშირებული ახალი, განსხვავებული მტკიცებულებები, რაც ეწინააღმდეგებოდა შეჭიბრებითობის პრინციპს.

მოპასუხე მხარის პოზიციით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენდა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომ მოსამართლეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, თავად გადაეწყვიტა, წარმოშობდა თუ არა საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების განხილვა ზეპირი მოსმენის გამართვის აუცილებლობას. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სადავო ნორმებით დადგენილი წესი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, იყო მატერიალური სამართლიანობის პრინციპის გამოხატულება.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების დასაშვებობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობა განპირობებული იყო არა სადავო ნორმით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით), არამედ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლითა და კონკრეტულ ინსტანციაში საქმის განხილვის მომწესრიგებელი ზოგადი წესებით. დასახელებული ნორმები მოცემულ შემთხვევაში სადავოდ არ იყო გამხდარი. შესაბამისად, სადავო ნორმას არ გააჩნდა მოსარჩელის მიერ არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმატიული შინაარსი. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობა ერთნაირად ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოსა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ დაცვის უფლებებს. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, დასახელებული უფლებები არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას, მათ შორის, ისეთი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიც არის სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვეტა, ზეპირი მოსმენით განხილვასთან შედარებით, ნაკლებ დროს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს მოითხოვს. ამავდროულად, არ გამოკვეთილა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უფრო ნაკლებად მზღუდავი სამართლებრივი მექანიზმი. საკონსტიტუციო

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელისთვის პრობლემური იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება და საქმის წარმოების განახლების შემთხვევა, როდესაც მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარდგენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა. აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლება სასამართლოს მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ შესწავლას და ზოგიერთი ახალი ფაქტობრივი გარემოების დადგენას მოითხოვს. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან იურიდიულ შედეგებს წარმოშობს და მხარეს აქვს მისი შეუქცევადად აღსრულების ლეგიტიმური მოლოდინი. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული განცხადების განხილვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის უფლებებსა და მოვალეობებზე, რადგან განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში ხდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის ინტერესი, არ მოხდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება საქმეზე ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე, მნიშვნელოვნად აღემატებოდა სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ინტერესს. შესაბამისად, არათანაზომიერად იზღუდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება და სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება იცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების ცნობის, მისი აღსრულების ვალდებულებას, თუმცა, ამავე დროს, მოითხოვს, რომ გარანტირებული იყოს არასწორად მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოობა დაცულია მანამ, სანამ მისი სიმცდარე კანონით განსაზღვრული წესით არ დადგინდება. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადაწყვეტილების გაუქმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიზღუდებოდა პირის უფლება, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სიმცდარე სათანადოდ არ იქნებოდა დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებები და გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს არა გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგების სრული გაუქმების, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის რევიზიის აუცილებლობაზე. მაგალითად, შესაძლებელია, მოსამართლე მისულიყო დასკვნამდე, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება საქმის განხილვის სტადიაზე რომ ყოფილიყო ცნობილი, სავარაუდოდ, გამოიწვევდა მხარის მოთხოვნის შემცირებას, დაკმაყოფილებული მოთხოვნის რომელიმე ასპექტის შეცვლას და ა.შ. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო ნორმით დადგენილი წესით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო შეტანილი განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სრულად უქმდებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ უფლების ნაკლებად მზღუდავ საშუალებად ჩაითვლებოდა გადაწყვეტილების გადახედვის წესი, რომელიც მოსამართლეს მისცემდა შესაძლებლობას, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების დაბალანსების გზით, გადაეწყვიტა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ფარგლები. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა უფლების არაპროპორციულ შეზღუდვად მიიჩნია და არაკონსტიტუციურად ცნო. ამასთან, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 აპრილამდე, რათა პარლამენტს მისცემოდა

გონივრული ვადა სადავო საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოსაწესრიგებლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ საქმის წარმოება თავიდან იწყება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ უკვე დადგენილია, რომ საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოების/მტკიცებულების გათვალისწინებით მიღებული იქნება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების მომთხოვნი მხარის სასარგებლო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახალი განხილვა და სასამართლოს უკვე ჩამოყალიბებულ პოზიციებზე გავლენის მოხდენა სჭირდება მხარეს, რომლის ინტერესების საწინააღმდეგოდაც გაუქმდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. სადავო რეგულაცია ასეთ მხარეს აძლევდა დავის მის სასარგებლოდ დასრულების დამატებით შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლოსთვის აშკარა გახდა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის თავიდან განხილვის წესი მოსარჩელის მსგავს კატეგორიაში მყოფი პირებისთვის უფლებააღმჭურველი ხასიათის იყო და, შესაბამისად, არ ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი „მალაღმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმები უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უზღუდავდა მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრები პირის სტატუსის მოპოვების და, შესაბამისად, აღნიშნულ სტატუსთან დაკავშირებული რიგი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. მოსარჩელეთა მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები თანაბრად მონაწილეობენ მალაღმთიანი რეგიონის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო ნორმები შესაბამისი სარგებლის მიღების უფლებას ანიჭებდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და ადგენდა მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირებას, რაც მოსარჩელე მხარის პოზიციით, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული დიფერენცირებული მოპყრობა არ იყო მაღალი ინტენსივობის, ვინაიდან მოსარჩელეებს შეეძლოთ მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა და ესარგებლათ აღნიშნული შეღავათებით. მოპასუხემ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საზღვრის დაცვა, აგრეთვე - შეზღუდული რესურსების ეფექტური ათვისება და მიგრაციული პროცესების შეჩერება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმებით დადგენილი იყო დიფერენცირება, რაც გამოიხატებოდა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გარკვეული ფინანსური სარგებლის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მაღალმთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფდა მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნება და ზრდა, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიზნებისთვის საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები არსებითად თანასწორ სუბიექტებად შეფასდნენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, სადავო ნორმებით დადგენილი იყო პირთა დიფერენცირება მოქალაქეობის ნიშნის საფუძველზე, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშნებს. ამავდროულად, სადავო ნორმების საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეები იღებდნენ მხოლოდ ნაწილობრივ დახმარებას სახელფასო და საპენსიო დანამატის, საგადასახადო შეღავათისა და ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურების ფორმით, რის გამოც, სადავო ნორმები, განსახილველ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მკვეთრად არ აშორებდა შესადარებელ სუბიექტებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დიფერენცირების კონსტიტუციურობა შეფასდა რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეზღუდვის გამართლებად არ მიიჩნია სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა არ არის დიფერენცირების გამართლების თვითკმარი არგუმენტი. სასამართლომ ვერ დაინახა რაციონალური კავშირი სადავო რეგულაციას და საზღვრისპირა რეგიონების დაცვას შორის, ვინაიდან, სოციალური შეღავათები დადგენილია მაღალმთიანი და არა საზღვრისპირა რეგიონებისთვის. ნორმიდან მომდინარე შეზღუდვა, არც საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის უკეთ განხორციელების მიზნით იყო გამართლებული და არც მიგრაციული პროცესების კონტროლის საფუძველით, ვინაიდან სადავო ნორმის რეგულირების სფეროს გათვალისწინებით, მისი მიზანმიმართულება არ იყო საინტეგრაციო პოლიტიკის მოწესრიგება.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალმთიანი რეგიონების თანაბარ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესს. სწორედ ამ მიზნის რეალიზება იყო სადავო ნორმების ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნული მიზნის მიღწევას კი, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფდა მაღალმთიანი რეგიონში დასახლებული პირებისათვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის გაცემის ფორმით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიმღებ პირთა ჯგუფის შერჩევის პროცესში სახელმწიფო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფოსთან აქვთ უფრო მყარი სამართლებრივ კავშირი და გარანტიები, ვიდრე მუდმივი ბინადრობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. შესაბამისად, სასამართლომ რაციონალურად მიიჩნია დაშვება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოს დატოვების ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მოქალაქის მიერ. შესაბამისად, მოლოდინი, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული სარგებლის მიმღები მაღალმთიანი რეგიონებში მცხოვრები პირები გრძელვადიანად გააგრძელებენ მაღალმთიან დასახლებაში ცხოვრებას, უფრო მაღალია საქართველოს მოქალაქეების მიმართ, ვიდრე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. შესაბამისად,

უფრო დიდია სადავო კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ფორმით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის პოტენციური ეფექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაციონალურად ჩაითვალა სახელმწიფოს პოლიტიკა, გაანაწილოს შეზღუდული ფინანსური რესურსები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1212).

მოსარჩელემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა მისი არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) შვილის ინტერესების დასაცავად. იგი სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმას, რომელიც მშობლებს შორის დავის შემთხვევაში სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე ერთ-ერთ მშობელს აუკრძალოს შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა.

მოსარჩელის პოზიციით, სადავო რეგულირება დაუსაბუთებლად ზღუდავდა არასრულწლოვან პირთა უფლებას, თავისუფლად დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია. მისი მითითებით, აღნიშნული რეგულირების მოქმედების პირობებში მისი არასრულწლოვანი შვილი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო სოციალური ხასიათის სხვადასხვა სარგებელი, რისი უფლებაც მას, როგორც კანადის მოქალაქეს კანადის ტერიტორიაზე ყოფნის შემთხვევაში წარმოეშობოდა.

მოსარჩელის განმარტებით, სადავოდ გამხდარი ნორმები ვერ აკმაყოფილებდა კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ მოთხოვნებს, რადგან კანონმდებლობა სასამართლოს მხოლოდ ზოგად უფლებამოსილებას ანიჭებდა და არ არსებობდა მშობლისათვის ბავშვის ქვეყნის გარეთ გაყვანის აკრძალვის ექსპლიციტური საკანონმდებლო საფუძველი. შესაბამისად, სადავო რეგულირებით დადგენილი შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ფორმალურ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ დაცული იყო ქვეყნის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლების შეზღუდვის ფორმალური საფუძველი, ვინაიდან საოჯახო საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრული იყო კანონით. ამასთან, სადავო რეგულირების ლეგიტიმური მიზანი იყო ბავშვთა უფლებების დაცვა და დადგენილი შეზღუდვა ამ მიზნის მიღწევის ეფექტურ და თანაბომიერ საშუალებას წარმოადგენდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ, ზოგადად, კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობა არ იწყება სრულწლოვანების ასაკის მიღწევასთან ერთად და არასრულწლოვან პირთა უფლებები სრულწლოვანების მსგავსად არის დაცული. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი მიუთითებს, რომ ქვეყნის დატოვება ყველა ადამიანის უფლებაა და ასაკთან დაკავშირებით არ ადგენს რაიმე გამონაკლისს. შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების კონსტიტუციური უფლების სუბიექტები არიან როგორც სრულწლოვანი, ისე - არასრულწლოვანი პირები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, გასათვალისწინებელია,

რომ არასრულწლოვანი პირების ფიზიკური თუ ფსიქიკური განვითარების დონის შესაბამისად, შესაძლოა, განსხვავებული იყოს მათი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის პირობები. ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში გაცნობიერებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი არასრულწლოვან პირებს, სრულწლოვანებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლები აქვთ. შესაბამისად, თავად არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, შეზღუდულია მათი ზოგადი თავისუფლების ფარგლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ კონსტიტუციური უფლებების მოქმედების ფარგლები თავად უფლების ხასიათსა და ურთიერთობის თავისებურებებზე დამოკიდებული. ზოგადად, ისეთი უფლებების რეალიზებისას, რომლებიც პირის მიერ ინფორმირებული, გაცნობიერებული ნების არსებობასა და გამოვლენას უკავშირდება, არასრულწლოვნები საჭიროებენ მშობლების ან სხვა პირების მხარდაჭერას. განხილულ შემთხვევაში, პირის მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება მნიშვნელოვან რისკებს უკავშირდებოდა. კერძოდ, ქვეყნის დატოვების შემთხვევაში ადამიანი შესაძლოა, სრულიად უცხო სოციალურ-პოლიტიკური გარემოში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხისა და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვეყნის თავისუფლად დატოვება იმ ტიპის უფლებაა, რომელსაც არასრულწლოვნები დამოუკიდებლად ვერ განახორციელებენ და მისი რეალიზება არასრულწლოვანი პირის მშობლებზე დამოკიდებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ორივე მშობელი თანაბრად არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები არასრულწლოვნის მიერ ამა თუ იმ უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის დატოვება ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი არჩევანია, აღნიშნული უფლებით სარგებლობა მშობლებს შორის შეუთანხმებლობისას ვერ განხორციელდება მხოლოდ ერთი მშობლის გადაწყვეტილებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის დატოვების საკითხზე მშობლებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არასრულწლოვნის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისათვის, უნდა არსებობდეს მშობლის ნების ჩანაცვლების და ბავშვის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების სათანადო მექანიზმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული რეგულირება არ იყო პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმა, მისი არაკონსტიტუციურობის სამტკიცებლად საკმარისი ვერ იქნებოდა მითითება ნორმის ზოგად ხასიათზე. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა იმ კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსზე, რომელიც, მისი აზრით, უფლების დარღვევას იწვევდა. განსახილველ შემთხვევაში, მშობელთა შეუთანხმებლობისას არასრულწლოვანი პირის მიერ ქვეყნის დატოვების საკითხის გადაწყვეტა მინდობილი იყო სასამართლოზე, რომელიც შესაბამის გადაწყვეტილებას იღებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან. ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებდა, რომ სადავო რეგულირება საერთო სასამართლოების მიერ განიმარტება იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამდენად, სადავო ნორმის თანახმად, მშობელთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არასრულწლოვანის ქვეყნის დატოვების საკითხი წყდებოდა სასამართლოს მიერ, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საკითხის ამგვარად მოწესრიგება არათუ არასრულწლოვნის საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებას არ ზღუდავდა, არამედ ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №1212 კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**„შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“
საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრის წინააღმდეგ**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა „შპს გიგანტი სექიურითის“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისის“ კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №747) საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.

№747 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებულ ნორმებს. „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენდა, რომ დაცვითი საქმიანობის კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრებოდა დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილება, შეემოწმებინა დაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მათთვის დაეკისრებინა შესაბამისი პასუხისმგებლობა. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით კი დადგენილი იყო დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანები და ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვის უფლებამოსილება.

მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ სადავო ნორმები დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ერთი მხრივ, შეესრულებინა კერძო დაცვითი ორგანიზაციების მაკონტროლებლის ფუნქცია, ხოლო, მეორე მხრივ, თავად განეხორციელებინა დაცვითი საქმიანობა. მოსარჩელის მითითებით, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ამავე ბაზარზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება კერძო დაცვითი ორგანიზაციების ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევა იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა ამ სფეროში თავისუფალი და კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობას. მოსარჩელის განცხადებით, მეწარმე სუბიექტებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, სადავო ნორმები კი ითვალისწინებდა ამგვარი ინფორმაციის კონკურენტისათვის გადაცემის შესაძლებლობას. ამდენად, მოსარჩელე სადავო ნორმებს არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლებებთან მიმართებით.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და აღნიშნა, რომ სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზანი იყო კერძო დაცვითი საქმიანობის რეგულირება, რაც, თავის მხრივ, ემსახურება დაცვითი ორგანიზაციების ზუსტად აღრიცხვას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციას და პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებას. მოპასუხის განმარტებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აღჭურვილი იყო შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რაც უზრუნველყოფდა მოცემული ფუნქციის ეფექტურ განხორციელებას. ამასთან, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ არაპროპორციული სანქციებისა და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაბამის მეწარმე პირს შესაძლებლობა ჰქონდა, მიემართა საერთო სასამართლოსათვის და დაეცვა საკუთარი უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუ-

ციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება, შექმნას თანასწორი, სამართლიანი საბაზრო პირობები ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის. სახელმწიფოს მიერ ბაზრის რომელიმე სეგმენტში ჩარევამ არ უნდა გამოიწვიოს ცალკეული ეკონომიკური აგენტის (ან აგენტთა ჯგუფის) პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კერძო დაცვითი საქმიანობა ეფუძნება კერძოსამართლებრივ, მხარეთა ნების ავტონომიაზე დაფუძნებულ ხელშეკრულებას და ამგვარი საქმიანობის თავისუფალი კონკურენციის პირობებში განხორციელების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ერთი მხრივ, კონტროლის განხორციელების ფუნქცია, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის მოცემული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტების მიერ კონტროლის ფუნქციის განხორციელებისას, საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, იზრდება უფლების ბოროტად გამოყენების რისკები. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, კანონით ზედმიწევნით ზუსტად იყო რეგლამენტირებული სამართალდარღვევების სახეები და პასუხისმგებლობის ზომები. შესაბამისად, ნაკლები იყო დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საკუთარი მიხედულების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების სივრცე. ამავდროულად, კანონმდებლობის თანახმად, პასუხისმგებლობის ნებისმიერი ზომა, რომელსაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტი დააკისრებდა სხვა ეკონომიკურ აგენტებს, ექვემდებარებოდა გასაჩივრებას და გადამოწმებას, მათ შორის, სასამართლოში, რაც ქმნიდა დეპარტამენტის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტების კონტროლის ფუნქციის განხორციელებით, არ იზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკურენციის თავისუფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ჰქონდა ისეთ დოკუმენტებთან წვდომა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ მომსახურების გაწევის ტარიფების, მათი დასაცავი ობიექტების, დაცვის საშუალებების, ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შეეძლო დასახელებული ინფორმაციის მიხედვით დაეგეგმა საკუთარი ეკონომიკური საქმიანობა და გაეუმჯობესებინა საბაზრო მდგომარეობა. ამდენად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული წესი დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უქმნიდა უპირატეს საბაზრო მდგომარეობას და ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებას.

სასამართლომ შეზღუდვის თანაზომიერებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ სადავო რეგულირების ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლის იმ სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელება, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს დაცვითი საქმიანობის ბაზართან და კარგად იცნობს მის სპეციფიკას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული შეზღუდვა არ არის აუცილებელი, ვინაიდან არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც სასამართლოს დაანახვებდა, რომ დაცვითი საქმიანობის განხორციელებაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება შეუძლებელი იყო მაკონტროლებელი ორგანოს სხვაგვარად განსაზღვრის შემთხვევაში. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის პოლიციის მიერ ერთდროულად ორი ფუნქციის განხორციელება არათანაზომიერია და „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი და „საჭარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციური ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 ივნისამდე და მოპასუხეებს მიეცათ ვადა, საკითხის კონსტიტუციის შესაბამისად მოსაწესრიგებლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად არ მიიჩნია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენდა კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებებს. სასამართლოს განმარტებით, მოცემული ნორმა ზოგადად განსაზღვრავდა მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილებას, შეემოწმებინა დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი ეკონომიკური აგენტების საქმიანობის კანონიერება და დაეკისრებინა პასუხისმგებლობა. აღნიშნული ნორმა არ ადგენდა მოთხოვნას, რომ კონტროლის განმახორციელებელი ორგანო აუცილებლად დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ყოფილიყო. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ დასახელებული სადავო ნორმა ამ თვალსაზრისით არ ზღუდავდა სამეწარმეო თავისუფლებას და არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

საქართველოს მოქალაქეები - ხვინა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვინა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დასახელებულ საქმეზე მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადების და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი არეგულირებდა პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობის საკითხს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განცხადებაზე ზემდგომი პროკურორის უარი სასამართლოში საჩივრდებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე. სადავო ნორმის მიხედვით, აღნიშნული დადგენილება სასამართლოში საჩივრდებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებზე.

მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმით დადგენილი აკრძალვის საფუძველზე მათ არ ჰქონდათ უფლება სასამართლოში გაესაჩივრებინათ პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის/დაზარალებულის სტატუსის გაუქმების შესახებ, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამასთანავე, მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მათგან განსხვავებით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემდეგ დაზარალებულ პირებს შეეძლოთ პროკურორის დადგენილების პირველი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრება. მოსარჩელე მხარის პოზიციით, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის კატეგორიებში დაზარალებულ პირებს გააჩნდათ იდენტური ინტერესი, რომელიც არ იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის დანაშაული იქნებოდა მათ წინააღმდეგ ჩადენილი. მათი აზრით,

ამგვარი წესი უთანასწოროდ ეპყრობოდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულით დაზარალებულ პირებს და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მოპასუხემ, საქართველოს პარლამენტმა, არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულით დაზარალებული პირებისათვის პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლების დიფერენცირებულად შეზღუდვით მცირდებოდა სასამართლოს მიერ დახარჯული რესურსი და დრო, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურებოდა სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვას და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. ამასთან, მოპასუხის მითითებით, გასაჩივრებული წესით დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით დიფერენცირება განპირობებული იყო იმ დაშვებით, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობისას, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შედეგად მიყენებულ შესაძლო ზიანთან შედარებით, მაღალია ზიანის ხარისხი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში კანონმდებლობით განსაზღვრულ მნიშვნელოვან უფლებებზე წვდომის წინაპირობაა. შესაბამისად, პირს აქვს დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მომეტებული ინტერესი. აღნიშნული ინტერესის ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების გზით დაცვის შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია უფლების სასამართლოში გასაჩივრების მეშვეობით დაცვის ალტერნატივად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომრამდენადაც ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებს უფლებას, დაიცვას საკუთარი უფლებები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდებელი ორგანოს - სასამართლოს მეშვეობით,

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრების უფლების შეზღუდვის გზით სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმეთა განხილვის სირთულე და სიმრავლე, რათა მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს, როგორია ამ კატეგორიის საქმეებით სასამართლოს გადატვირთვის საფრთხე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულად ცნობის საკითხის გადასაწყვეტად დგინდება დანაშაულის ფაქტისა და პირის მიმართ მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანის არსებობა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორც წესი, არ გამოირჩევა კომპლექსურობით და ყველა შემთხვევაში სადავო არ ხდება. გარდა ამისა, არ დასტურდებოდა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის შედეგად სასამართლოს მნიშვნელოვნად გადატვირთვის რისკი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში შეიზღუდებოდა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება/გაუქმება არ არის პროკურორის თავისუფალი მიხედულების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. კანონით დადგენილი ობიექტური საფუძვლების, კრიტერიუმების არსებობისას პროკურორი ვალდებულია, პირი ცნოს დაზარალებულად ან არ გააუქმოს მისთვის მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი. ამგვარი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას და არ იჭრება მის დისკრეციულ უფლებამოსილებაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიციხა შესაძლებლობა, რომ სასამართლოს გადატვირთვისა და მართლმსაჯულების შეფერხების ხელშესახები, რეალური საფრთხის შემთხვევაში გამართლებული იყოს დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის

დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვა. ამავე დროს, ამ პროცესში აუცილებელია, დაზარალებულის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობის გათვალისწინება. სასამართლოს გადატვირთვისა და მართლმსაჯულების შეფერხების ხელშესახები მტკიცებულებებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ სასამართლოს გადატვირთვაზე ზოგადი მითითების პირობებში, გაუმართლებლად იქნა მიჩნეული ბლანკეტური შეზღუდვა, რომელიც არ ითვალისწინებდა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ხარისხს და დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის მნიშვნელობას.

მოცემულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა ასევე შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმების მიხედვით, პირთა ჯგუფი, რომელთა მიმართაც ჩადენილი იყო ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული დიფერენცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებთან მიმართებით. ამასთან, სადავო ნორმა გასაჩივრების შესაძლებლობას უკავშირებდა პირობას, რომლის შეცვლაც არ იყო დამოკიდებული პირის თავისუფალ არჩევანზე. ამგვარი, დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, ურთიერთობის სხვადასხვაგვარი მონესრიგება მიჩნეულ იქნა უთანასწორო მოპყრობად.

დიფერენცირებული პირები, ერთი მხრივ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შედეგად შესაძლო დაზარალებულები და, მეორე მხრივ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შედეგად შესაძლო დაზარალებული პირები იმყოფებოდნენ არსებითად იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობაში - ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის შედეგად პირებს ადგებოდათ ზიანი, რომელიც დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, შესაძლებელია, იდენტური ყოფილიყო. ამასთან, ხსენებულ პირთა კატეგორიებს აერთიანებდა კანონით გათვალისწინებული ინტერესი - მიეღოთ დაზარალებულის სტატუსი და ესარგებლათ თანმდევი უფლებებით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული დიფერენცირება ინტენსიურად მიიჩნია, რამდენადაც მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულით დაზარალებულთათვის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების ჩამორთმევა, შესაძლოა, ფაქტობრივად, მათთვის უფლების მინიჭებაზე უარის თქმას გათანაბრებოდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენცირების მაღალი ინტენსივობიდან გამომდინარე, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით შეაფასა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან განვითარებული მსჯელობის მსგავსად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც მიიჩნია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიის სირთულისა და სიმრავლის გათვალისწინებით, არ ყოფილა წარმოდგენილი ხელშესახები დასაბუთება, რომ მოსარჩელეთა მსგავს კატეგორიაში მყოფი პირებისათვის დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება სასამართლოს გადატვირთვას გამოიწვევდა. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული დიფერენცირება შეეხებოდა ნებისმიერი მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულით დაზარალებული პირის უფლებებს და მხედველობაში არ იღებდა დაზარალებულის მიმართ დამდგარი უფლებრივი ზიანის მოცულობას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი და, მეორე მხრივ, ამ ურთიერთობაში დისკრიმინაციისაგან დაცვის საჭიროება აღემატებოდა სადავო ნორმით დაცულ სიკეთეს - სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას. ამგვარად, სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელები).

მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდოდა 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით და 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების: „მონმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და მე-2 წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმების თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე–323², 325-ე–329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების (ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები) გამომძიებლისა და მოწმის იკითხებოდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, დანარჩენ დანაშაულებთან მიმართებით კი - 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა მოწმის ვალდებულებას, გამომძიებლისა და პროკურორის გამოძახებით გამოცხადებულიყო საგამომძიებო უწყებაში და მიეცა ჩვენება. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას ადგენდა მხოლოდ მაგისტრატ მოსამართლესთან. ამავე დროს, ახალი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა დაცვის მხარის მიერ მოწმის არსებით სხდომამდე დაკითხვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში თუ მისი არსებით სხდომაზე გამოცხადება სათუო იყო.

მოსარჩელე როინ მიქელაძის პოზიციით, სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის გამომძიებლისა და მოწმის დაკითხვის განსხვავებული წესების გამოყენება იწვევდა პირთა დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ბრალდებულები, რომელთა წინააღმდეგ მიმდინარე საქმის გამომძიებლისა და მოწმის დაკითხვა ხდებოდა არა საგამომძიებო ორგანოში, არამედ - მაგისტრატ მოსამართლესთან იმყოფებოდნენ უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში სხვა ბრალდებულებთან მიმართებით. მოსარჩელე გიორგი ბურჯანაძის მტკიცებით, დიფერენცირება ხორციელდებოდა მოწმეებს შორის და სადავო ნორმაში მითითებულ დანაშაულთან დაკავშირებით საგამომძიებო ორგანოში დაკითხული მოწმეები სარგებლობდნენ დაცვის ნაკლები გარანტიით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხულ მოწმეებთან შედარებით. ხსენებულის გათვალისწინებით, მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ თანასწორობის უფლებას.

მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, ახალი საპროცესო კოდექსის ფარგლებში სრულად შეიცვალა საგამომძიებო ორგანოების მოწმესთან ურთიერთობის წესი და პირის მიერ ჩვენების მიცემა ნებაყოფლობითი გახდა. აქედან გამომდინარე, არსებობდა რისკი, რომ გარდამავალ პერიოდში დაბალი სამოქალაქო თვითშეგნებისა და სამართალ-

დამცავ სისტემასთან მოქალაქეთა თანამშრომლობის კულტურის ნაკლებობის გამო პირები არ ითანამშრომლებდნენ გამოძიებასთან და საფრთხე შეექმნებოდა ეფექტიანი გამოძიების წარმოებასა და მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, აუცილებლად იქნა მიზნული, გარდამავალ პერიოდში, კანონმდებელს დაეზღვია არსებული რისკები და იმ დანაშაულთა გამოძიებისას, რომელთა მიმართაც არსებობდა მომეტებული საჭიროება, საგამოძიებო ორგანოებს ჰქონოდათ მოწმის სავალდებულო დაკითხვის ბერკეტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის პროცესში ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულში ბრალდებულ პირებს გააჩნდათ შესაბამისი საპროცესო გარანტიებითა და უფლებებით სარგებლობის მინიმუმ ისეთივე ინტერესი, როგორც აქვთ სხვა, ნებისმიერ დანაშაულში ბრალდებულებს. აქედან გამომდინარე, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები იყვნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულთა დიფერენცირება გამოიხატებოდა იმაში, რომ ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულში ბრალდებულ პირთა წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებისას მოწმის სავალდებულოდ დაკითხვა ხდებოდა საგამოძიებო ორგანოში და გამომძიებელს/პროკურორს უფრო მარტივად შეეძლოთ კონკრეტული მტკიცებულების - მოწმის ჩვენების მოპოვება. ამასთანავე, აღნიშნულ დანაშაულებში ბრალდებული პირები ვერ სარგებლობდნენ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი რიგი საპროცესო შესაძლებლობებით (მაგალითად, დასახელებული კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვა).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფერენცირება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაული ჩაიდინა პირმა. შესაბამისად, სახეზე არ იყო დიფერენცირების კლასიკური ნიშანი. ამასთან, ბრალდებულთა დიფერენცირება არ იყო ინტენსიური ხასიათის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები დიფერენცირების რაციონალური ტესტის გამოყენებით შეფასდა. დასახელებული ტესტის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგიერთი დანაშაულის გამოძიების პროცესში გამომძიებლის/პროკურორის მიერ მოწმის დროებით ძველი წესით დაკითხვა უზრუნველყოფდა გარდამავალ ეტაპზე გამოძიების ეფექტურად განხორციელების ხელშეშლის თავიდან აცილებას. ამასთანავე, კანონმდებლის გადაწყვეტა, რომ ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისას გამომძიებელს/პროკურორს უნდა ჰქონოდა მოწმის საგამოძიებო ორგანოში დაკითხვის შესაძლებლობა და მოწმე ვალდებული ყოფილიყო გამოცხადებულიყო და ჩვენება მიეცა, რაციონალურ კავშირში იყო დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევასთან და ამ კუთხით, სადავო ნორმები არ არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა ბრალდებულთა გარკვეული კატეგორიის მიმართ დაწესებული შეზღუდვა, ესარგებლათ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი გაუმჯობესებული უფლებრივი რეჟიმით, მათ შორის, მოეთხოვათ მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ამავე კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, თუ მოწმის არსებით სხდომაზე გამოცხადება სათუო იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაცვის მხარის მოწმის დაკითხვა ხდებოდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და დასახელებულ დანაშაულში ბრალდებული პირები ვერ სარგებლობ-

დნენ 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსით მინიჭებული უფლებებით მოწმის დაკითხვის კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოწმეთა დიფერენცირებასთან მიმართებით განმარტა, რომ ნებისმიერ მოწმეს, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ დანაშაულთან დაკავშირებით ხდება მისი დაკითხვა, ჰქონდა ერთნაირი ინტერესი, დაცული ყოფილიყო მისი უფლებები და არ მომხდარიყო მისთვის რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, შესადარებელი პირები იყვნენ არსებითად თანასწორი, თუმცა, მათ შორის არსებული დიფერენცირება გამართლებული იყო გამოძიების ეფექტურად წარმოებისა და მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით და არ ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩელე მხარე ასევე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპს, რამდენადაც, ერთი მხრივ, დაცვის მხარეს არ შეეძლო დასწრებოდა საგამოძიებო ორგანოში მოწმის დაკითხვას და ჯვარედინად დაეკითხა იგი, ხოლო, მეორე მხრივ, გასაჩივრებული რეგულაცია საგამოძიებო ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლებას მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაცული სფეროები და მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგულაციონირებელი ზოგადი კონსტიტუციური დებულებაა და იცავს სამართლიანი სასამართლოს ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს, რომელიც სახელდებით არ არის მოცემული ამავე მუხლის სხვა პუნქტებში. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი კონკრეტულად აღიარებს დაცვის მხარის უფლებას, დაკითხოს საკუთარი მოწმე ბრალდების მხარის მოწმეთა თანასწორად. შესაბამისად, მოწმეთა დაკითხვის კონტექსტში მხარეთა თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით არის დაცული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება შეჭიბრებითობის ნაწილია და მისი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არის შეფასებადი.

მოწმის ჯვარედინ დაკითხვასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში იმისათვის, რომ საგამოძიებო ეტაპზე მიცემული ჩვენება მტკიცებულება - მოწმის ჩვენება გახდეს, აუცილებელია ამ პირის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკითხვა. შესაბამისად, დაცვის მხარეს სწორედ ამ ეტაპზე ჰქონდა ბრალდების მხარის მოწმის სასამართლოს (მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულების) წინაშე ჯვარედინად დაკითხვის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯვარედინი დაკითხვის უფლება, ძირითადად, სწორედ არსებით სხდომაზე რეალიზებადი უფლებაა და დაცვის მხარეს აღჭურავს შესაძლებლობით, გამოთქვას აზრი მის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებაზე და ეჭვქვეშ დააყენოს მისი სანდოობა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა, რომელიც არ ითვალისწინებდა ბრალდებულის უფლებას საგამოძიებო ეტაპზე ჯვარედინად დაეკითხა მოწმე, არ ზღუდავდა მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპს, რამდენადაც დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე კრიტიკულ და მნიშვნელოვან ეტაპზე, არსებით სხდომაზე, ჯვარედინად დაეკითხა მოწმე და ამ გზით გაექარწყლებინა მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა მნიშვნელოვნად ეხმარება მხარეს არსებითი სხდომისთვის პოზიციის მომზადებაში. სადავო მოწმის ჩვენების პირობებში ბრალდების მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, წინასწარ გაიგოს, რა ინფორმაციას ფლობს დასაკითხი პირი და რა ჩვენების მიცემა შეეძლო მას არსებით სხდომაზე. ამის საპირისპიროდ, დაცვის მხარე მოკლებული იყო ამგვარ შესაძლებლობას და იმ პირისგან

ინფორმაციის მიღება, რომელიც ნებაყოფლობით არ თანამშრომლობდა, შეეძლო მხოლოდ მისი არსებით სხდომაზე დაკითხვის გზით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, დაცვის მხარეს უწევდა არსებით სხდომაზე ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომლის გამოძიების ეტაპზე გამოკვლევის შესაძლებლობაც არ მისცემია. შესაბამისად, დაცვის მხარე ობიექტურად ვერ განსაზღვრავდა, რა ინფორმაციას მოაწვდიდა პირი სასამართლოს და იყო თუ არა ეს ინფორმაცია მისი პოზიციის გამამყარებელი. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისათვის მინიჭება ზღუდავდა მოწმეთა ერთსა და იმავე პირობებში გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მხარისათვის საგამოძიებო ეტაპზე მოწმის დაკითხვის უფლების მინიჭება ვერ შეაფერხებდა გამოძიების ეფექტურად წარმოებას და არ იქონიებდა უარყოფით გავლენას საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, შესაძლოა, საგამოძიებო ეტაპზე დაცვის მხარემ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვა საკუთარი რესურსით ვერ განახორციელოს და ამ პროცესში სასამართლოს ან სხვა ორგანოს ჩართვა გახდეს საჭირო. აქედან გამომდინარე, ამ უფლების შეზღუდვის მიზანი, შესაძლოა, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა იყოს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განხილულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა სასამართლოს განსაკუთრებულად გადატვირთვის თავისთავადი რისკები. ამასთანავე, მოწმის დაკითხვის პროცესში მხარეთა თანასწორობა და ბრალდებულის უფლებათა სრულყოფილი რეალიზაცია იმდენად ღირებული კონსტიტუციური სიკეთეა, რომ მისი სადავო ნორმით დადგენილი ფორმით, ბლანკეტურად შეზღუდვა ვერ გამართლდებოდა სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ეტაპზე მოწმეთა სავალდებულოდ დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისათვის მინიჭება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტს. ამავე დროს, სადავო ნორმები ემსახურებოდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს და მათ დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებას, შესაძლოა, გარკვეული რისკი შეექმნა გამოძიების ეფექტიანად წარმოებისათვის. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2019 წლის 30 ივნისამდე.

2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა აქტივობები

2018 წლის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად საქმიანობდა საერთაშორისო ასპარეზზე და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები.

2.1. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2018 წლის იანვრიდან ერთი წლის ვადით თავმჯდომარეობდა შავი ზღვის და ბალტიისპირეთის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციას (BBCJ). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასოციაციის თავმჯდომარეობა უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოსგან გადმოიბარა.

2.1.1. ინფორმაცია ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის შესახებ

„ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“ მიზანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობა, საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, კანონის უზენაესობის პრინციპების იმპლემენტაცია და ასოციაციის წევრებს შორის გამოცდილების გაცვლის უზრუნველყოფა.

ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის დეკლარაციას ხელი მოეწერა ქ. ვილნიუსში 2015 წლის 26 ოქტომბერს უკრაინის, საქართველოს, ლიეტუვის რესპუბლიკის და მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ. დეკლარაციის თანახმად, წევრი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები აცხადებენ მათ სურვილს, გააძლიერონ კონსტიტუციური მართლმსაჯულება თავიანთ ქვეყნებში; ხელი შეუწყონ დიალოგს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობები კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ზრდისა და გაღრმავების მიზნით.

ასოციაციის ორგანოებია გენერალური ასამბლეა და გენერალური სამდივნო, რომელთა მშვეობითაც ასოციაცია ახორციელებს თავის საქმიანობას. ასოციაციის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა, მასში გაწევრიანება და ფინანსური ასპექტები განისაზღვრება წესდებით. ასოციაციის თავმჯდომარეობა, როტაციის წესით, ანბანური თანმიმდევრობით ერთი წლის ვადით გადადის ასოციაციის წევრ სახელმწიფოებზე.

2.1.2. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის სამუშაო შეხვედრა

ასოციაციის თავმჯდომარეობის ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრა 3-4 აპრილს თბილისში, სასტუმრო „ვინოტელში“ შედგა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს, ლიეტუვის რესპუბლიკის, მოლდოვას რესპუბლიკის და უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები. შეხვედრაზე ხელი მოეწერა ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოცი-

აციის (BBCJ) განცხადებას წევრ ქვეყნებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე აგრესიისა და ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობისა და სამართლებრივი რეაგირების შესახებ.

განცხადების თანახმად, ასოციაციის წევრი საკონსტიტუციო სასამართლოები (საქართველო, ლიეტუვის რესპუბლიკა, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა) მისაღმებიან და მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის ხელისუფლების ძალისხმევას რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას რესპუბლიკის მიმართ აგრესიის, ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დარღვევის, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის დაგმობის ფაქტს და სამართლებრივ რეაგირებას ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებებზე. შესაბამისად, ასოციაციის წევრი სასამართლოები მოუწოდებენ კონსტიტუციური მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებს, არ დარჩნენ გულგრილი აგრესიისა და სხვა საერთაშორისო დანაშაულების მიმართ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განცხადების ტექსტში ყურადღება გამახვილდა „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის რეზოლუციაზე.

შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს ასოციაციის მე-3 კონგრესთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლონეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო ტრიბუნალის ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

2.1.3. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის კონგრესი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 15-17 მაისს, ქ. თბილისში „ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“ (BBCJ) მე-3 კონგრესს უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში, თბილისს სტუმრობდნენ „ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“ წევრი საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის დელეგატები.

კონგრესის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჰერდის თორგეირსდოტირმა და ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში კარლო ნატალემ.

ასოციაციის მე-3 კონგრესის თემას იყო „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი ევროპული ინტეგრაციის პროცესში“. კონგრესის წინაშე მოხსენებებით წარდგინეს ასოციაციის წევრი სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასოციაციის III კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებით 2019 წლის იანვრიდან ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის თავმჯდომარეობას ლიეტუვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო გაუწევს.

2.2. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია

2017-2020 წლებში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციას თავმჯდომარეობს ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ 13-14 ივნისს მონაწილეობა მიიღო ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVIII კონგრესის თავმჯდომარეების მოსამზადებელ შეხვედრაში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „ჩვენი სათავეები - ჰანს კელზენის სამართლებრივი მემკვიდრეები“.

ნიშანდობლივია, რომ 2014-2017 წლებში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონგრესს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარეობდა და კონგრესის თავმჯდომარეობა ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან 2017 წლის ზაფხულის დასაწყისში გადაიბარა.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია 1971 წელს დაარსდა და მასში გაერთიანებულია ევროპის 41 საკონსტიტუციო სასამართლო და რელევანტური ინსტიტუტი. კონფერენციის მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლოების რეგულარული ურთიერთობის საფუძვლებზე, ხელი შეუწყოს წევრ სასამართლოებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებას კონსტიტუციური მართლმსაჯულების საკითხებზე. ასევე, მისი ამოცანაა გაზარდოს საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობა, როგორც დემოკრატიის და კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის სტრუქტურა და კომპეტენცია რეგულირდება მისი სტატუტით და რეგლამენტით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული კონფერენციის წევრია 2000 წლიდან.

2.3. სასამართლოს თავმჯდომარის/წევრების 2018 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონფერენციების/ორმხრივი შეხვედრების ფარგლებში ასევე მჭიდროდ ურთიერთობს უცხო ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

- 26 იანვარი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის გუიდო რაიმონდის მიწვევით სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაო წლის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს და ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიციოს.

- 9-10 აპრილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) მიწვევით მონაწილეობა მიიღო ქალაქ ვენაში გამართული „გლობალური სასამართლო კავშირი“ (Global Judicial Integrity Network) პროექტის გახსნაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს წევრი 160 ქვეყნის საკონსტიტუციო, უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები, ასევე, რელევანტური ინსტიტუტების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისმა (UNODC) კანონიერების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, დააარსა დოჰას დეკლარაციის გლობალური პროგრამა, რომელიც მოიცავს „გლობალურ სასამართლო კავშირს“ (Global Judicial Integrity Network). მისი მიზანია გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, მხარი დაუჭიროს სასამართლო სისტემას გლობალურ დონეზე მიუკერძოებლობის გაძლიერებასა და კორუფციის პრევენციაში.

- 19-20 აპრილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები თეიმურაზ ტულუში და მერაბ ტურავა, ყირგიზეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის მიწვევით იმყოფებოდნენ ქალაქ ბიშკეკში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში „კონსტიტუციის უზენაესობა და მისი მოქმედება: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხები“.

- 25-26 აპრილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმა ირინე იმერლიშვილმა და მანანა კობახიძემ ქალაქ ანკარაში მონაწილეობა მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 56 წლის იუბილისთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმის ხუთწლიანი გამოცდილების შეფასებას მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროპისა და აზიის საკონსტიტუციო სასამართლოების წევრები და რელევანტური ინსტიტუტების წარმომადგენლები, ასევე ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო

24-25 მაისი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გიორგი კვერენჩხილაძე ქალაქ რიგაში იმყოფებოდა, სადაც ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიწვევით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „საკონსტიტუციო სასამართლოები და სასამართლო აქტივიზმი დემოკრატიულ სახელმწიფოში“. კონფერენცია ეძღვნებოდა ლატვიის რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები.

- 18-22 ივნისი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე კონსტიტუციური სამართლის საერთაშორისო ასოციაციის (IACL) მიწვევით გაემგზავრა ქალაქ სეულში და მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციური სამართლის მე-10 მსოფლიო კონგრესში.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სამართლის მე-10 მსოფლიო კონგრესის მხარდამჭერები არიან კორეის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო. კონგრესში მონაწილეობდნენ საკონსტიტუციო სასამართლოების და რელევანტური ინსტიტუტების წარმომადგენლები მსოფლიოს მასშტაბით. კონგრესი მიზნად ისახავდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გლობალური გამოწვევების შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შეხვდა კორეის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს.

- 27 ივნისი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მიწვევით მონაწილეობა მიიღო სემინარში „კონსტიტუციური ფასეულობები და ადამიანის უფლებები: 21-ე საუკუნის გამოწვევები“. სემინარი ეძღვნებოდა უკრაინის კონსტიტუციის 22 წლის იუბილეს. ზაზა თავაძე, როგორც „ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“

თავმჯდომარე, დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარსდგა. მან ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე დემოკრატიული ფასეულობებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვაში.

- 6-8 ივლისი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე და თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ბაქოში, სადაც დაესწრნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას „კანონის უზენაესობა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება: ღირებულებები და პრიორიტეტები“.

- 4-25 აგვისტო - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე და თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუში სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები გაეცნენ ფარული მიყურადებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემას აშშ-ს ფედერალურ, შტატებისა და ადგილობრივ დონეებზე. გამართული შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა განიხილეს აშშ-ში მოქმედი ფარული მიყურადებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი კანონმდებლობა; სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული მიყურადების განხორციელების საუკეთესო პრაქტიკა; სახელმწიფო უწყებებსა და კერძო ორგანიზაციებს შორის შიდა და გარე ინფორმაციის გაზიარების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროტოკოლი; განსხვავება მიყურადებასა და დაზვერვას შორის; სასჯელაღსრულების, განათლებისა და საბანკო სექტორებში პერსონალური მონაცემების არასანქცირებული გამოყენებისა და გავრცელების პრევენციის პროტოკოლი. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ვაშინგტონში, ლიტლ-როკში, ატლანტასა და ბოსტონში. ვიზიტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამის (IVLP)“ ფარგლებში.

- 3-5 სექტემბერი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თეიმურაზ ტულუშისა და სასამართლოს წევრის ირინე იმერლიშვილის შემადგენლობით კორეის რესპუბლიკას სტუმრობდა. დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს კორეის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და საერთაშორისო კონფერენციაში.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოსა და კორეის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ ტულუშმა, ხოლო კორეის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით სასამართლოს თავმჯდომარემ ლი ჩინსუნმა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო-კვლევით სფეროში თანამშრომლობას და ორმხრივი ვიზიტების განხორციელებას.

- 7-8 ოქტომბერი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიწვევით ქალაქ ვარშავაში იმყოფებოდა. ზაზა თავაძემ მონაწილეობა მიიღო „ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“ (BBCJ) წევრი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებს შორის გამართულ დისკუსიაში. დისკუსია შეეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოების როლს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში. მას მოდე-

რაციას უწევდა ცნობილი ჟურნალისტი და მიმომხილველი ბრონისლავ ვილდშტაინი. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები, მათ შორის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მატეუშ მორავიეცკი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე ვიზიტის ფარგლებში შეხვდა პოლონეთის პრემიერ-მინისტრს. შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და ქართულ მართლმსაჯულებაზე.

- 24-25 ოქტომბერი - საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე, სასამართლოს წევრები მანანა კობახიძე და ევა გოცირიძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ვილნიუსში, სადაც „ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის“ წევრი სასამართლოების თავმჯდომარეების მონაწილეობით გაიმართა ვილნიუსის ფორუმი. ზაზა თავაძემ ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობის საკითხზე ანგარიში წარადგინა. ფორუმი გახსნა ლიეტუვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ლიეტუვის საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. ვიზიტის ფარგლებში, ლიეტუვის რესპუბლიკის სეიმში გაიმართა კონფერენცია, სადაც ზაზა თავაძე სიტყვით გამოვიდა და ისაუბრა თემაზე „კონსტიტუციური სარჩელის როლი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში“.

- 2-3 ნოემბერი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ირინე იმერლიშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ ერევანში. მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „კონსტიტუციონალიზმის ახალი ათასწლეული“. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: საერთაშორისო თანამედროვე ტენდენციები საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფორმირებისა და განვითარებისთვის; სასამართლოს ხელისუფლების როლი ხელისუფლების შტოთა შორის; ახალი გამოწვევები და გადაწყვეტილებები; საერთაშორისო ხელშეკრულებების გავლენა კონსტიტუციონალიზმის განვითარებაზე, კანონისა და ადამიანის უფლებების უზენაესობაზე; ეფექტური მართლმსაჯულების სისტემა და მონიტორინგი.

10-12 დეკემბერი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ქ. ვიურცბურგში. ზაზა თავაძე ვიზიტის ფარგლებში ვიურცბურგის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებს შეხვდა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები და საქმიანობა გააცნო. ამავე ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ვიურცბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტს შორის.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ვიურცბურგის უნივერსიტეტის სამართლის სკოლას შორის. ამ თვალსაზრისით, იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით, ასევე, ერთობლივი კონფერენციების, ტრენინგების, საჯარო ლექციებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

17-18 დეკემბერი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ “ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის” თავმჯდომარეობის ფარგლებში მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაციას უმასპინძლა. სტუმრებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუში შეხვდა. დელეგაციის წევრებს გამოცდილება გაუზიარეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარ-

ტამენტის იურისტებმა. სამი დღის განმავლობაში მოლდოველი კოლეგები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებსა და პრაქტიკას გაეცნენ. ასევე, გაიმართა მსჯელობა საკონსტიტუციო სამართალწარმოების როლზე საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. მოლდოვას დელეგაცია საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა.

2.4. დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სასამართლო წარმატებით ახორციელებს ღონისძიებებს ინსტიტუციური გაძლიერებისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტურობის ზრდის კუთხით.

2018 წლის განმავლობაში ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 5-7 თებერვალს სასტუმრო „მარკო პოლო გუდაურში“ გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გასვლითი სამუშაო შეხვედრა თემაზე - ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ეფექტური წარმომადგენლობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, სასამართლოს თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მონაწილეებს მიესალმნენ და სიტყვით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ზაზა თავაძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მართლმსაჯულების პროგრამის მენეჯერმა პიტერ დენისმა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის საქართველოს გუნდის ხელმძღვანელმა შალვა პაპუაშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ ტულუშმა მოწვეულ სტუმრებს გააცნო საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა კითხვა/პასუხი და დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

სამდღიან სამუშაო შეხვედრაზე საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის იურისტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ახალი დებულება; სასამართლოში საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის კონცეფცია; პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში; კონსტიტუციური ცვლილებები და მათი გავლენა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე საქართველოში და საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოწვევები.

- 24-27 აგვისტოს ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა სასტუმროში „ბორჯომი ლიკანი“. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიული აქტებში ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

- 21 ნოემბერს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლობით სასტუმრო „იოტაში“ გაიმართა საჯარო დისკუსია 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. გადაწყვეტილება შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვას.

დისკუსიას უძღვებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ნონა ქურდოვანიძე, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან მაისურაძე, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის მკვლევარი დავით ზედელაშვილი. მომხსენებლებმა განიხილეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არგუმენტები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზები. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

2.5. საზაფხულო სკოლა კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი უშუალო საქმიანობის პარალელურად, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, კონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა სამართლის საზაფხულო სკოლა, რომელიც პირველად 2008 წელს ჩატარდა. მას შემდეგ, საზაფხულო სკოლა ყოველწლიურად ტარდება და მიზნად ისახავს მომავალი იურისტების პროფესიული ცოდნის ამაღლებას კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში.

2018 წლის საზაფხულო სკოლა გაიმართა ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე. საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა ორი კვირის განმავლობაში მოისმინეს ლექციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და სამართალწარმოების პროცედურებზე, ნარკოტიკული დანაშაულების კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების შესახებ საქართველოში, ნარკოპოლიტიკის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებზე, ნარკოდამოკიდებულებისა და საჯარო პოლიტიკის საკითხებზე, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროპის კავშირის საკონსტიტუციო სამართალზე. საზაფხულო სკოლის ფარგლებში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესები.

საზაფხულო სკოლაში ლექციებს უძღვებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები; ასევე მოწვეული პროფესორები: იან კომარევი - კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ევროკავშირის სამართლის პროფესორი; რობერტ შაპირო - ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი; რიჩარდ ვოგლერი - სასექსის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესორი; ჰანს კრომბაგი - სასექსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და კრიმინოლოგიის კვლევის ცენტრის პროფესორი; ენდრიუ კოპელმენი - ნორფესტერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი; ეკჰარდ პახე - ვიურცბურგის იულიუს მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის, კონკურსის შედეგად შეირჩა საქართველოს

უმაღლესი სასწავლებლების სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის 27 საუკეთესო სტუდენტი. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის გამორჩეულ მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, განაგრძონ საკუთარი საქმიანობა სასამართლოში სტაჟირების და შემდგომში დასაქმების გზით. საზაფხულო სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომ საზაფხულო მისი კურსდამთავრებულები წამყვან თანამდებობებს იკავებენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

2018 წლის საზაფხულო სკოლა გაიმართა ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWM/PROLoG) ფინანსური მონაწილეობით და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

3. კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის 2018 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა 93 კონსტიტუციური სარჩელი და 2 კონსტიტუციური წარდგინება. საკონსტიტუციო სასამართლომ მის წარმოებაში არსებულ 64 კონსტიტუციურ სარჩელზე დაასრულა სამართალწარმოება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისა და მსჯავრდებულების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში განიმარტა სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული/ბრალდებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, აგრეთვე პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის უფლებები და პირის უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილებებით²⁹ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა. არაკონსტიტუციურად გამოცხადდა რეგულაცია, რომელიც საგამოძიებო სტადიაზე მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესაძლებლობას. ასევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი წესი, რომლის პირობებშიც დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება ყოველ ჯერზე ჰქონდა ბრალდების მხარეს, მაშინაც კი, თუ ობიექტი ვარგისი იყო მხოლოდ ერთჯერადი გამოკვლევისათვის, ასევე არ არსებობდა რეგულაცია, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევდა ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის პროცესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პირების უფლებებთან დაკავშირებით. სასამართლომ შეაფასა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული პირადი შემოწმების (გაშიშვლების) საფუძვლებისა და პროცედურის კონსტიტუციურობა³⁰ და აღნიშნა, რომ ღონისძიება, რომელიც პირს ავალდებულებს სხვა პირთა თანდასწრებით გაშიშვლებას, იწვევს დისკომფორტსა და სირცხვილის

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“.

შეგრძნებას. ამგვარი ღონისძიების განხორციელება დაუშვებელია მინიმალური საფრთხის აღკვეთის მიზნით. შესაბამისად, აუცილებელია, მკაცრად იყოს რეგლამენტირებული ასეთი ღონისძიების განხორციელების წესი და საფუძვლები.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსის მოპოვების საკითხთან მიმართებით³¹ და არაკონსტიტუციურად მიიჩნია რეგულაცია, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შედეგად შესაძლო დაზარალებულ პირს ანიჭებდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულს აქვს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინტერესი, ისარგებლოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით. დასახელებული გადაწყვეტილების შედეგად, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულით შესაძლო დაზარალებული პირები შეძლებენ დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში უნდა საჩივრდებოდეს იმ შემთხვევაში თუ (ა) პასუხისმგებლობა დაკისრებულია მძიმე სამართალდარღვევისათვის ან/და (ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა ამ საკითხზე არაერთგვაროვანია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმები, რომლებიც ბლანკეტურად გამორიცხავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.³²

2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალება - მარიხუანას პირადი მოხმარებისათვის იმ პირობებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი არ უქმნის საფრთხეს მესამე პირებს ან საჭარო ინტერესებს.³³ საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საჭარო დისკუსიებსა და სხვა ფორმატის განხილვებში, რათა სწორად მომხდარიყო მიღებული გადაწყვეტილებისა და მასში ასახული კონსტიტუციური სტანდარტების გააზრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ფართოდ შექმდებოდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მედიით და მოექცა არაერთი ავტორიტეტული მედიის ყურადღების ცენტრში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც პირველად განიმარტება ესა თუ ის კონსტიტუციური უფლება და დგინდება ახალი სტანდარტები. გასულ წელს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად იმსჯელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებაზე და ამ სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებებზე.³⁴ სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობა მისი თვითმყოფადობის, ისტორიისა და კულტურის გამოხატულებაა და მას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. საკონ-

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის 2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვინა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/6/1216 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიხანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჭიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით მაქსიმალურად აიცილოს თავიდან კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანის მიყენება და დაიცვას იგი კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მათი უნიკალურობის შენარჩუნებას და დაზიანებისაგან დაცვას, რაც კულტურული გარემოთი სრულყოფილად სარგებლობის უფლების რეალიზაციის უპირველესი წინაპირობაა.

2018 წელი მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიებთან მიმართებით გაკეთებული განმარტებების თვალსაზრისითაც. საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი მიდგომები ჩამოაყალიბა კონკურენციის თავისუფლებასთან მიმართებით.³⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევა კონკურენციაში და რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭება საფრთხეს უქმნის თანასწორი, სამართლიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი უფლებრივი სტანდარტები ისეთ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ეკონომიკური აგენტი კონტროლს უწევს ამავე სფეროში მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტების საქმიანობას და აქვს წვდომა მათ კომერციულ ინფორმაციაზე. აღნიშნული სტანდარტები ხელს შეუწყობს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებასა და კონკურენციის განვითარებას, უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანმიმდევრული და განჭვრეტადი პრაქტიკის არსებობა სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი საფუძველია. ამასთანავე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, შესაძლოა, წარმოიშვას შემთხვევა, როდესაც შეიცვალა ის სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც ემყარებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მასში მოცემული კონსტიტუციის განმარტება ვეღარ აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროს განვითარების მოთხოვნებს. აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ იყოს ზედმეტად ხისტი და მუდმივად პასუხობდეს საზოგადოებისა და სამართლის განვითარების დინამიკურ პროცესს.

გასულ წელს საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა პრაქტიკა სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით.³⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით, აღნიშნული უფლება არ მოიცავდა სხვა პირის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება, მათ შორის, იცავს ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობასაც, რომელიც უკავშირდება სხვა პირის ჯანმრთელობას, ფინანსებს ან სხვა კერძო საკითხებს. ამ უფლებრივ კომპონენტს უპირისპირდება კერძო პირის უფლება, არავისთვის გახდეს ხელმისაწვდომი მის შესახებ ინფორმაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ ორ შეპირისპირებულ უფლებრივ სიკეთეს შორის კონკურენციის პირობებში, საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, თანაბრობის პრინციპის გამოყენებით. სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებიდან, რაიმე ტიპის ინფორმაციის მიღების უფლების a priori გამორიცხვა, ვერ პასუხობდა კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით,

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დასახელებული გადაწყვეტილების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფორმაციაზე წვდომის უფლების შინაარსი და მისი დაცვის სტანდარტები.

გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი კიდევ ერთხელ გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლება, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უცხოელთა საკუთრების უფლების მოპოვების აკრძალვა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახეზე იყო ნორმა, რომელიც შინაარსობრივად შეიცავდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ანალოგიურ მოწესრიგებას. აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა პრაქტიკის შეცვლის საჭიროება, კიდევ ერთხელ დაიცვა საკუთარი პრეცედენტი და არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის აკრძალვა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 16 დეკემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში. აღნიშნული ფაქტი უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა საკონსტიტუციო სამართალწარმოებისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, იმთავითვე, შეზღუდულია საქართველოს კონსტიტუციით და მასში გამოხატული ღირებულებათა წესრიგით. კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად განსხვავებულად ჩამოყალიბდა კონსტიტუციური დებულებები, რაც შეიძლება წარმოშობდეს მათი განსხვავებულად განმარტებისა და გამოყენების საჭიროებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, შენარჩუნებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და მისი უფლებამოსილებები წესრიგდება ორგანული კანონით. ხსენებული ცვლილებების ამოქმედებამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა რეგულირდებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ დასახელებული ორი კანონი გაერთიანდა. განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიქმნა გარკვეული სამართლებრივი ხარვეზები, მოწესრიგების დუბლირება და სხვა. აუცილებელია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა იძლეოდეს ეფექტური კონსტიტუციური კონტროლის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ადეკვატურად დაცვის შესაძლებლობას. ამრიგად, მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის მჭიდრო თანამშრომლობით უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები და კანონმდებლობა დაიხვეწოს იმგვარად, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს საკუთარი კონსტიტუციური ფუნქციის შეუფერხებლად, კიდევ უფრო ეფექტურად განხორციელება.

ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ხელისუფლების შტოებისა და საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში კონსტიტუციის უზენაესობის დაცვისა და განმტკიცების შეუქცევად პროცესში. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა მრავალმხრივი პროცესია. ამ

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №3/10/1267,1268 განჩინება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პროცესის ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ მასში მუდმივად მონაწილეობდეს ხელი-სუფლების თითოეული შტო და საზოგადოება. საზოგადოების აქტიური და სწორი ჩართულობა მნიშვნელოვნად გაამარტივებს კონსტიტუციური წესრიგისა და კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების დაცვას.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითად მახასიათებლებისა და ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა სტატისტიკური ინფორმაცია. ქვემოთ გრაფიკული ფორმით არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკის შემაჯამებელი მონაცემები, რომლებიც ასახავს სასამართლოს მიერ ამ წელს გაწეული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ამასთან, მონაცემების აღქმადობის სიმარტივისა და მეტი სიცხადისთვის, გვსურს, გავაკეთოთ რამდენიმე განმარტება.


„საქმე“, „სარჩელი“ და „აქტი“ - სტატისტიკის გარკვეული ნაწილი შეეხება დასრულებულ სარჩელებს და დასრულებულ საქმეებს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება გაერთიანდეს ერთ საქმედ. სხვაგვარად, „საქმე“ შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელისგან. საკონსტიტუციო სასამართლო აქტი მიემართება სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა ტიპის აქტს - საოქმო ჩანაწერს, განჩინებას და გადაწყვეტილებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპეტენციები - N6 გრაფიკული გამოსახულება ასახავს მონაცემებს დასრულებული საქმეების შესახებ კომპეტენციების მიხედვით. სასამართლოს კომპეტენციებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. გრაფიკულ გამოსახულებაზე კომპეტენციის იდენტიფიცირების ფორმად გამოყენებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი. მაგალითად, გრაფიკულ გამოსახულებაზე მითითებული კომპეტენცია 19.1.ე. გულისხმობს დასახელებული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

დამძლევი - გრაფიკული გამოსახულება, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „დამძლევი“, გულისხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგინა, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავდა იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და გამოიტანა განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.


1. 2018 წელს რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა.

სულ 95 კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება




■ კონსტიტუციური სარჩელი ■ კონსტიტუციური წარდგინება


2. 2011-2018 წლებში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები.




3. სარჩელების/საქმეების რაოდენობა, რომლებზეც სამართალწარმოება დასრულდა 2018 წელს.




4. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს მიღებული აქტები.



5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს დასრულებულ საქმეთა შემავაზმებელი აქტები.




6. საქმის არსებითი განხილვის თაობაზე მიღებული საოქმო ჩანაწერები და მათი შედეგები.




7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები კოლეგიის/პლენუმის მიხედვით.

სულ 46 განჩინება




8. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები და მათი სამართლებრივი საფუძვლები კოლეგიის/პლენუმის მიხედვით.




9. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მიერ გამოთქმულ განსხვავებულ და თანხმდერ აზრთა რაოდენობა.


სულ 6 განსხვავებული და თანხმდერი აზრი




10. მოსარჩელე მხარე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს მიღებულ აქტებში.




11. მოპასუხე მხარე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს მიღებულ აქტებში.




12. სადავო ნორმატიული აქტები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წელს მიღებულ განჩინებებში, საოქმო ჩანაწერებსა და გადაწყვეტილებებში.



13. კონსტიტუციური დებულებები, რომლებთანაც მოსარჩელე მხარე მოითხოვდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას (სასამართლოს აქტების მიხედვით).



14. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები კოლეგიის/პლენუმის მიხედვით.



15. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადება.

გადავადების საშუალო ხანგრძლივობა 180 დღე

